პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი № 91 (12299) | ოთხშაბათი, 18 აპრილი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოსკოვი. სრულიად საკავშირო ალკკ XIV ყრილობა. სურათზე: ყრილობის პრეზიდიუმში.

ფოტო ვ. ეგოროვისა და ვ. სობოლევისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

# ოთხ თვეში შევასრულოთ ჩაის კრეფის ნაკისრი ვალდებულება!

## —ასეთია ლეილა მაღულარიას წინადადება, მისი ახალი თაოსნობა

**წელს** დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასახული საქართველოს მეჩაიეთა წინაშე. სამშობლოს უნდა მივცეთ სულ მცირე 160.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამ ამოცანის შესრულება დამოკიდებულია ჩვენზე, საკოლმეურნეო მინდვრების ადამიანებზე, მეჩაიეთა თავდადებულ შრომაზე. ამიტომ ამთავითვე უნდა გავაჩაღოთ ლაშქრობა მეტი და მაღალხარისხოვანი „მწვანე ოქროსათვის".

ჩვენ, მეჩაიეებმა, ისე უნდა მოვაწყოთ შრომა, რომ მოსავლელად მიჩენილი ჩაის პლანტაციიდან სეზონის გადამწყვეტ თვეებში — მაისში, ივნისსა და ივლისში შევასრულოთ არა მარტო ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა, არამედ ამ სამ თვეში მტკიცე საფუძველი უნდა შევქმნათ იმისათვის, რომ აგვისტოს ბოლომდე შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულებაც. გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ სწორედ ეს სამი თვე წყვეტს მთელი წარმატების ბედს. თუ არ დავკარგავთ საკრეფად შემოსულ არც ერთ კილოგრამ ჩაის ფოთოლს, ეს ამოცანა უთუოდ გადაჭრილი იქნება.

და აი მე გადავწყვიტე ერთ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 5,5 ტონა ჩაის ფოთოლი მოვკრიფო მაისსა და ივნისში, ხოლო ვალდებულება შევასრულო — აგვისტოს ბოლომდე, მოვკრიფო 12 ტონა ჩაის ფოთოლი.

მოვუწოდებ ჩვენი რესპუბლიკის ყველა მეჩაიეს, რომელთა ხელშია ამ საქმის გამარჯვების გასაღები, ადებული გეგმა შეასრულოს მაისსა და ივნისში, ხოლო ვალდებულების განაღდება აუცილებლად უზრუნველყოს აგვისტოს ბოლომდე.

მეჩაიეთა ასეთი ლაშქრობა საშუალებას მოგვცემს ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის ძირითად თვეებში — მაისში, ივნისსა და ივლისში ჩაის ბუჩქებს გამოვართვათ იმის მაქსიმუმი, რისი მოცემაც მათ შეუძლიათ. სწორედ ეს გადაწყვეტს საქართველოს მეჩაიეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების ბედს.

ვთხოვ გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას ჩემი ეს წერილი, ჩემი ეს ვალდებულება გააცნოს რესპუბლიკის მეჩაიეებს.

თუ შესაძლებელი იქნება, გაზეთ „კომუნისტის" რედაქციამ შემოიღოს 160 ათასი ტონა ჩაისათვის ბრძოლაში მოწინავეთა საპატიო დაფა, დააწესოს გაზეთ „კომუნისტის" სახელობის სპეციალური თასი ამ დიდ ლაშქრობაში გამარჯვებულისათვის.

**ლეილა მაღულარია,**

მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობის მეჩაიე.

# კომკავშირელი კომუნიზმის მშენებლობის აქტიური მონაწილეა

## სრულიად საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XIV ყრილობა

**სრულიად** საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ს. პ. პავლოვის მოხსენების შემდეგ ყრილობა გადადის დღის წესრიგის მეორე საკითხის — სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების — განხილვაზე. სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს, თურქმენეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს **მ. მოლაევას.**

შემდეგ ისმენენ სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის **ვ. საიუშევის** მოხსენებას სრულიად საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის წესდების ცვლილებათა შესახებ.

იწყება კამათი.

კამათში პირველი გამოდის სრულიად საკავშირო ალკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ბ. პასტუხოვი.**

შემდეგ ტრიბუნაზეა უკრაინის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ი. ელჩენკო.**

ლენინგრადის ოლქის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის სახელოვან საქმეებსა და მომავლის ამოცანებზე ილაპარაკა კომკავშირის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **კ. ივანოვმა.**

გულითადად მიულოცეს ყრილობის დელეგატებსა და მათი სახით მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტმა **პიერო პიერალმა,** ჩინეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **იან ხაი-ბომ,** პოლონეთის სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **მარიან რენკემ.**

ყრილობის 17 აპრილის დილის სხდომაზე კამათში გამოვიდნენ: უზბეკეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **მ. იბრაგიმოვი,** ბელორუსიის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ლ. მაქსიმოვი,** ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი **ვ. კაზმირჩუკი,** ყაზახეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **უ. ჯენიბეკოვი,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი **მ. კელდიში,** ორიოლის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ლივენსკის" მეღორე მ. ბიკოვა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ო. ჩერქეზია.**

სრულიად საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XIV ყრილობის დელეგატებს მიესალმა სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი **ირჟი პელიკანი.**

ყრილობის დელეგატებმა მოისმინეს სამანდატო კომისიის საანგარიშო მოხსენება და დაამტკიცეს იგი.

აღმაფრთოვანებელი და გულში ჩამწვდომია საზღვარგარეთის დელეგაციების წარმომადგენელთა სიტყვები, რომლებიც მიმართულია საბჭოთა ახალგაზრდობისადმი სრულიად საკავშირო ალკკ XIV ყრილობის ტრიბუნიდან.

# დათესილია 55.796 ჰექტარი სიმინდი

**დღითიდღე** სულ უფრო ჩაღდება სიმინდის თესვა. 15 აპრილისათვის ჩვენს რესპუბლიკაში სამარცვლედ და სასილოსედ სულ დათესილი იყო 55.796 ჰექტარი სიმინდი. მარტო აპრილის მესამე ხუთდღიურში დაითესა 20.304 ჰექტარი. თესვის რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 21,1 პროცენტით.

თელავის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს ხაზით სიმინდის თესვის დავალება შესრულებულია 59,5 პროცენტით, გურჯაანის — 35,3, სიღნაღის — 63, ბოლნისის — 41,2 თეთრი წყაროს — 78,6, დუშეთის — 7,3, გორის — 15,8, ახალციხის — 1,2, ზესტაფონის — 18,6, სამტრედიის — 6,5, ამბროლაურის — 4,9, წყალტუბოს — 18,3, მახარაძის — 1, ცხაკაიას — 4,4, ზუგდიდის — 2,6, მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ხაზით — 36,1 პროცენტით. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში თესვის დავალება შესრულებულია 0,7 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 2,3 პროცენტით, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 17,6 პროცენტით.

# თამბაქოს რგვა

**ჩვენი** რესპუბლიკის მეთამბაქოეებმა დროულად მოამზადეს თამბაქოს ჩასარგავი ნიადაგი. უკვე დაწყებულია თამბაქოს რგვა. 15 აპრილისათვის სულ დარგულია 744 ჰექტარი, შარშან ამ დროს კი დარგული იყო 316 ჰექტარი.

წელს რესპუბლიკაში სულ უნდა დაირგოს 13.996 ჰექტარი თამბაქო. სიღნაღის საწარმოო სამმართველოს ხაზით თამბაქოს რგვის გეგმა 2.700 ჰექტარია. უკვე დაირგო 416 ჰექტარი, მერძევეობა - მებოსტნეობის სპეციალიზებული ტრესტის ხაზით დარგულია 287 ჰექტარი თამბაქო.

აფხაზეთის ასსრ მეთამბაქოეებმა გეგმით უნდა დარგონ 7.050 ჰექტარი, ხოლო აჭარელმა მეთამბაქოეებმა — 1.482 ჰექტარი. რგვა დაწყებულია.

# 160.000 ტონა ჩაისათვის!

## მეჩაიეებო! მხარი დაუჭირეთ ლეილა მაღულარიას პატრიოტულ თაოსნობას!

### ჩაის შერჩევითი კრეფის ტემპი მატულობს

**შარშან** გაზაფხულის მზიანი და თბილი დღეები გვიან ესტუმრა ჩაის პლანტაციებს. ამან განაპირობა ის, რომ ჩაის ბუჩქების ვეგეტაციამაც დაიგვიანა. ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა 27 აპრილს დაიწყო ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, 28 აპრილს — ბათუმის რაიონის სოფელ ჰარნალის კოლმეურნეობაში და ქობულეთის რაიონის ცეცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, ხოლო 29 აპრილს — წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში.

წელს როგორ არის საქმე? უკეთესად. თბილი ამინდები აპრილის პირველი დღეებიდანვე დადგა ჩაის პლანტაციებში, ბუჩქებზე გამოჩნდა „მწვანე ოქროს" დუყები. შარშანდელთან შედარებით თხუთმეტი დღით ადრე — 12 აპრილს დაიწყო ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა.

პირველად კრეფა დაიწყო ჩაქვის ლენინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ, შემდეგ კი — ბათუმის რაიონის სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ და ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის კოლმეურნეობამ. სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში კრეფაში დაწინაურდა ნაზი საკანდელიძე, რომელიც ყოველდღიურად 20-25 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს. სოფელ დაგვის კოლმეურნეობაში მეჩაიეები მარიამ იორდანიდი, სოფიო პავლიდი ყოველდღიურად ოცოც კილოგრამ „მწვანე ოქროს" კრეფენ.



სურათზე: ლეილა მაღულარია.

# საპირველმაისო შრომით ვახტზე

ქუთაისის აგურის მექანიზებული ქარხნის კოლექტივმა, რომელიც სამტრედიელ თანამოსაქმეებს ეჯიბრება, 18 მარტისათვის გადაჭარბებით შეასრულა პირველი კვარტალის გეგმა. განვლილ პერიოდში გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გავზარდეთ 2,3 პროცენტით.

ამ წარმატებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს მეექსკავატორეებმა გ. ჩომახიძემ და ი. გრომოვმა, აგურის ჩამწყობებმა ჯ. დავითულიანმა და ბ. კიკვიძემ, მეყალიბეებმა დედამ და შვილმა ქეთევან და ციცინო ჩოგოვაძეებმა.

ჩვენი გადაწყვეტილებაა პირველი მაისის დღესასწაულის აღსანიშნავად აპრილის ბოლომდე სულ მცირე 600 ათასი ცალი ზეგეგმითი აგური მივცეთ მშენებლებს.

**შ. კანდელაკი,**

ქუთაისის აგურის მექანიზებული ქარხნის საგამომწველო საამქროს უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორი.

# ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

## რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ნ. გუინე

16 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ნ. გუინე და მეგობრული საუბარი ჰქონდა მასთან.



# საქართველოს სსრ მრეწველობის 1962 წლის I კვარტლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

**რესპუბლიკის** მრეწველობის მუშაკებმა, გააჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, გადაჭარბებით შეასრულეს 1962 წლის I კვარტალის გეგმა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობისა და მეტ წილ ძირითად სახეობათა ნაწარმის მიხედვით.

რესპუბლიკის მრეწველობამ საერთო პროდუქციის წარმოების I კვარტალის სახელმწიფო გეგმა 104 პროცენტით შეასრულა, აქედან მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა მრეწველობამ და სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ — 104 პროცენტით, ადგილობრივი საბჭოების მრეწველობამ — 108 პროცენტით.

რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების მოცულობა 1961 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10 პროცენტით გაიზარდა, მინისტრთა საბჭოსა და სახალხო მეურნეობის საბჭოსადმი დაქვემდებარებულ მრეწველობაში — 10 პროცენტით, ადგილობრივი საბჭოების მრეწველობაში — 2 პროცენტით. რესპუბლიკის სახელმწიფო მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში საერთო პროდუქციამ 1962 წლის I კვარტალში 1961 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეადგინა:

| | 1962 წლის I კვარტალი პროცენტობით 1961 წლის I კვარტალთან შედარებით |
|---|---|
| შავი მეტალურგია | 99 |
| სათბობის მრეწველობა | 107 |
| ელექტროენერგიისა და თბოენერგიის წარმოება | 124 |
| მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება | 118 |
| ქიმიური მრეწველობა | 102 |
| საშენ მასალათა მრეწველობა | 112 |
| სატყეო, ქაღალდისა და ხისდამუშავებელი მრეწველობა | 104 |
| მსუბუქი მრეწველობა | 104 |
| აქედან: საფეიქრო მრეწველობა | 106 |
| კვების მრეწველობა | 116 |
| აქედან: ხორცის მრეწველობა | 104 |
| კარაქის, ყველისა და რძის სხვა პროდუქტების წარმოება | 100,2 |
| მევენახეობა | 133 |
| ჩაის მრეწველობა | 116 |
| თამბაქოს მრეწველობა | 76 |

საერთო პროდუქციის წარმოების I კვარტალის გეგმა იმ სამრეწველო საწარმოებმა, რომლებიც მდებარეობენ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, შეასრულეს 107 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე—104 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე — 111 პროცენტით, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე — 104 პროცენტით.

1961 წლის I კვარტალთან შედარებით მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდამ აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში შეადგინა 6 პროცენტი, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 9 პროცენტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 14 პროცენტი, ქალაქ თბილისში— 7 პროცენტი.

მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების 1962 წლის I კვარტალის გეგმის შესრულება და წარმოების საერთო მოცულობის ზრდა 1961 წლის I კვარტალთან შედარებით სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივი სამმართველოებისა და ტრესტების ხაზით ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

| | 1962 წლის I კვარტალის გეგმის შესრულება პროცენტებით | 1962 წლის I კვარტალი პროცენტობით 1961 წლის I კვარტალთან შედარებით |
|---|---|---|
| სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობა | 104 | 110 |
| მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველო | 98 | 101 |
| მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველო | 102 | 116 |
| ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობის სამმართველო | 104 | 127 |
| ენერგეტიკული მეურნეობის სამმართველო | 108 | 123 |
| საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველო | 105 | 108 |
| სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველო | 107 | 106 |
| საფეიქრო მრეწველობის სამმართველო | 103 | 106 |
| მსუბუქი მრეწველობის სამმართველო | 97 | 100,6 |
| ხორცისა და რძის მრეწველობის სამმართველო | 113 | 103 |
| ჭიათურის მარგანეცის ტრესტი | 102 | 93 |
| ტყიბულის ქვანახშირის ტრესტი | 98 | 121 |
| ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტი | 107 | 109 |
| ახალციხის ქვანახშირის მაღაროთსამმართველო | 97 | 90 |
| საქართველოს შახტმშენის ტრესტი | 111 | 123 |
| სამთამადნო მრეწველობის ტრესტი | 115 | 102 |
| საქართველოს ნავთობის ტრესტი | 103 | 99,2 |
| საქართველოს ჩაის ტრესტი | 107 | 115 |
| სამტრესტი | 104 | 127 |
| საქართველოს კონსერვტრესტი | 113 | 134 |
| საქართველოს პურისა და საკონდიტრო მრეწველობის ტრესტი | 104 | 106 |
| საქართველოს მცენარეული ცხიმებისა და ეთეროვანი ზეთების ტრესტი | 109 | 124 |
| საქართველოს თამბაქოს ტრესტი | 104 | 76 |
| საქართველოს მინერალური და ხილის წყლების ტრესტი | 106 | 101 |
| საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტი | 93 | 106 |
| საქართველოს ტორფის ტრესტი | 97 | 153 |

(დასასრული მე-3 გვერდზე)

# მეცნიერებათა აკადემიაში

**საქართველოს** სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომელზეც მოსმენილ იქნა აკადემიკოს-მდივნის ს. დურმიშიძის მოხსენება „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 1961 წლის საქმიანობის ანგარიში".

აკადემიკოსმა ს. დურმიშიძემ ილაპარაკა მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებებსა და მასში შემავალი სამეცნიერო-საკვლევი და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობის შესახებ განვლილ პერიოდში, აღნიშნა ის გზები, რომლებითაც უნდა წარიმართოს მეცნიერების შემდგომი წინსვლა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა გ. ძოწენიძემ, ვ. ასათიანმა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა, ტექნიკის მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ვ. მახალდიანმა, აკადემიკოსმა ა. ჯავახიშვილმა, აკადემიკოსმა პ. გამყრელიძემ, მწერალმა-აკადემიკოსმა კ. გამსახურდიამ, აკადემიკოსმა ა. ბოჭორიშვილმა, დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა ა. ფრანგიშვილმა, ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ს. წერეთელმა.

განხილულ იქნა აგრეთვე საორგანიზაციო საკითხები.

სხდომამ ერთხმად დაამტკიცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 1961 წლის საქმიანობის ანგარიში.

დასასრულ მოსმენილ იქნა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. ძიძიგურის მოხსენება თემაზე: „საქართველოს წიაღისეულის მოპოვების ახალი მეთოდები".

# უცხოეთის ცნობები

## სირიის ახალი მთავრობა

დამასკო, 17 აპრილი. (საკდესი). აქ შეიქმნა სირიის არაბთა რესპუბლიკის დროებითი მთავრობა დოქტორ აჰმედ ბეშირ ელაზმეს მეთაურობით. მთავრობის შემადგენლობაში შედის 14 მინისტრი: პრემიერ-მინისტრის მოადგილე, განათლებისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი რაშად ბარმადა, სირიის არმიის მთავარსარდალი თავდაცვის მინისტრის ფუნქციებით გენერალი აბდელ ქერიმ ზაჰრედინი, საგარეო საქმეთა მინისტრი ადნან აზჰარი და სხვები.

## გვატემალა ბობოქრობს

ნიუ-იორკი, 17 აპრილი. (საკდესი). გუშინ გვატემალის დედაქალაქში კვლავ გაიმართა მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები. დემონსტრაციათა მონაწილენი მოითხოვენ პრეზიდენტ იდიგორას ფუენტესის გადადგომას. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ქალაქ გვატემალიდან იუწყება, სტუდენტებმა გადაკეტეს ქალაქის ერთ-ერთი ქუჩა ავტომანქანების ბარიკადით და ბომბებს ესროდნენ ბანკების შენობებს.

# სოფელს—მზრუნველი ხელი!

## ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების მუშაობის პირველი დღეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

**უკვე წელს უნდა მივაღწიოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების სერიოზულ გადიდებას**

ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების ხელმძღვანელებო და სპეციალისტებო, სოფლის მეურნეობის მუშაკებო! არ დავიშუროთ ენერგია და ცოდნა სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის!

**ამ საქმის წარმატება დამოკიდებულია ჩვენზე, კადრებზე.**

*ღირსეულად გავამართლოთ პარტიის საპატიო ნდობა!*




# ასე დავიწყეთ, ასე ვფიქრობთ

**თვეზე** მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა. და უკვე რამდენი რამ გაკეთდა ამ მოკლე ხანში! ახლა, როცა პლენუმის შემდეგ უფრო კრიტიკულად ვაფასებთ განვლილ მუშაობას, ღრმად ვრწმუნდებით, რომ აქამდე საქმეს მნიშვნელოვნად აფერხებდა სოფლის მეურნეობისადმი მოქნილი, ღრმად მოფიქრებული ხელმძღვანელობის სისტემის უქონლობა. სწორედ დროულად შენიშნა ეს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მიგვითითა იმ რგოლზე, რომელსაც ხელი უნდა ჩავჭიდოთ და მთლიანი ჯაჭვი ამოვწიოთ.

მთავარი, რაზედაც მარტის პლენუმმა გაამახვილა ყურადღება, ეს არის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო საქმიანობის ხელმძღვანელობის საკითხები.

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, — ნათქვამია პლენუმის დადგენილებაში, — რომ უნდა შეიქმნას სოფლის მეურნეობის მართვის ორგანოები, რომლებიც განახორციელებენ დაგეგმვას, კონტროლს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მდგომარეობისადმი, საქმით აქტიურ ზეგავლენას მოახდენენ წარმოების ორგანიზაციაზე თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში და პასუხს აგებენ ჩვენი ქვეყნის უზრუნველყოფისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით".

პირველ აპრილს, როცა თეთრი წყაროს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა, როგორც სამმართველოს, ისე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგისა და ინსტრუქტორთა ჯგუფის მუშაობის წლიური გეგმებიც სწორედ პლენუმის ამ მითითებათა გათვალისწინებით შემუშავდა.

რა გაკეთდა ჩვენთან პრაქტიკულად, რით დავიწყეთ ჩვენი საქმიანობა?

მე, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგი, აქამდე ნაკლებად ვიცნობდი სამმართველოში შემავალ წალკის რაიონის მეურნეობებს, მათს ხელმძღვანელებს. ამიტომ პირველი დღეებიდანვე საჭიროდ ჩავთვალე გავცნობოდი მათს მუშაობას. უკვე სამჯერ ვიყავი ამ მეურნეობებში. ამ დღეებში გაიმართა წალკის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირ-სემინარი, რომელსაც ესწრებოდნენ აგრეთვე კომუნისტი აქტივისტები. თათბირ-სემინარი მიეძღვნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

მოვაწყვეთ აგრეთვე პლენუმის მასალების ორგანიზებული კითხვა.

რა შედეგი მოგვცა ამან?

მეურნეობის ხელმძღვანელები, აქტივისტები უფრო ღრმად გაერკვნენ თავიანთ საბრძოლო ამოცანებში, უფრო სწორად შეაფასეს ცალკეული დარგების განვითარების პერსპექტივები, გამოიანგარიშეს, თუ რა შესაძლებლობა აქვთ იმისათვის, რომ მეურნეობებმა უახლოეს წლებში აწარმოონ არა მარტო 75 ცენტნერი ხორცი ას ჰექტარ სახნავზე, ე. ი. შეასრულონ პირველი ეტაპი, როგორც ეს პლენუმის დადგენილებაშია აღნიშნული, არამედ აწარმოონ გაცილებით მეტიც. მაგალითად, ივანოვკის კოლმეურნეობის წევრებმა გადაწყვიტეს მომავალ 1963 წელს უკვე მიაღწიონ მეორე ეტაპს, ანუ ყოველ ას ჰექტარ სახნავზე აწარმოონ 100 ცენტნერი ხორცი.

ასეთივე ზღუდის აღებას ვარაუდობს ედიქილისის კოლმეურნეობაც.

ხორცის წარმოების ზრდა ძირითადად დამოკიდებულია პირუტყვის საკვების წარმოების ზრდაზე. იმისათვის, რომ მიმდინარე წელსვე მნიშვნელოვნად გავზარდოთ ხორცისა და რძის წარმოება, სამმართველოში შემავალმა მეურნეობებმა გადაწყვიტეს გეგმის ზევით 1.000 ჰექტარ ფართობზე დათესონ ქარხალი, ხოლო 2.500 ჰექტარზე სიმინდი.

გუშინწინ, შემუშავებული გეგმის მიხედვით, გაიმართა საწარმოო სამმართველოს მეურნეობათა მოწინავე ადამიანების შეკრება. აქ განხილულ იქნა პირველი კვარტალის სამეურნეო შედეგები და ახალი ამოცანები. ამ შეკრებაზე სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა ივანოვკის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ნ. კუდუკოვი, პარტორგანიზაციის მდივანი ა. ტოკუზოვი). ეს გარდამავალი წითელი დროშა დაწესდა საწარმოო სამმართველოს საბჭოს პირველ სხდომაზე და იგი ყოველთვიურად გადაეცემა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ მეურნეობას.

ფასიანი საჩუქრები გადაეცა ყველაზე მოწინავე 18 მწველავს. მაგალითად, დაჯილდოებულია წალკელი მწველავი ს. მაკაროვა, რომელმაც სამ თვეში საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე 750 კილოგრამი რძე მიიღო, ასურეთელი დ. მალაქმანიძე, ალგეთელი ვ. კლიმენკო და სხვები. დაჯილდოებულ იქნენ აგრეთვე ნოვატორი მეცხვარეები — კოდის, ასურეთის, დურნუკის მეცხვარეები, რომლებმაც 2 წლის მანძილზე სამი დოლი უზრუნველყვეს და ყოველ 100 სულ დედაცხვარზე 290 ბატკანი მიიღეს.

ამ შეკრებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მხრივ, რომ სიტყვებით გამოსულმა მოწინავე კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება. უფრო ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ცალკეულ მეურნეობებსა და მოწინავეებს შორის. მაგალითად, ედიქილისის კოლმეურნეობამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ივანოვკის კოლმეურნეობა და სხვ.

ამ დღეებში ნაყოფიერ ორგანიზატორულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან ადგილებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორთა ჯგუფი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგი ვ. ხრისტიანოვი.

ინსტრუქტორები გ. ლოლაძე და ო. გობრონიძე პრაქტიკულად დაეხმარნენ ალექსეევკის კოლმეურნეობის კომუნისტებს შინაპარტიული მუშაობის გაუმჯობესებისა და სააგიტაციო საუბრების დონის ამაღლებისათვის.

თითქმის ყველა მეურნეობაში შექმნილია სოფლის მეურნეობის მოწინავეთა სკოლები, მაგრამ ბევრგან მეცადინეობა დაბალ დონეზე იმართება. ამიტომ ინსტრუქტორთა ჯგუფმა კურსი აიღო ამ სკოლებში მეცადინეობის ხარისხის ასამაღლებლად.

ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს აგრეთვე შრომის დამატებითი ანაზღაურების მოწესრიგება. მაგალითად, წალკის რაიონში გამართული მწველავთა შეკრება სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა. აქ მოილაპარაკეს თუ რა უნდა მიიღოს მწველავმა გეგმის ზევით ყოველი ცენტნერი რძის მიღებისათვის.

როცა ვამბობთ სამმართველოს სპეციალისტებისა და ინსტრუქტორთა ჯგუფის მუშაობაზე, ერთი წუთითაც არ გვავიწყდება ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მითითება იმის შესახებ, რომ საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებები მოვაწყოთ პარტიის რაიონულ კომიტეტებთან ერთად, მათ მხარდამხარ.

თეთრი წყაროს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს ყველა მუშაკს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორთა ჯგუფებს ყველა შესაძლებლობა აქვთ იმისათვის, რომ წარმატებით გაართვან თავი დაკისრებულ მოვალეობას. სამმართველოში შემავალი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, მათი ადამიანები წინათაც ერთმანეთთან მეგობრობით იყვნენ დაკავშირებულნი. ახლა უფრო მჭიდრო იქნება ეს კავშირი და მეგობრობა. ამ მეურნეობებში სხვადასხვა ეროვნების ადამიანები შრომობენ. მათი ინტერნაციონალური აღზრდა მუდამ იქნება ჩვენი ყურადღების ცენტრში.

რა ზღუდეები გვაქვს ასაღები მიმდინარე წელს?

საწარმოო სამმართველოში შემავალმა მეურნეობებმა 1962 წელს სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 29.560 ცენტნერი ხორცი, 79.410 ცენტნერი რძე, 71.000 ცენტნერი კარტოფილი, აგრეთვე დიდი რაოდენობით მარცვლეული, ბოსტნეული, ყურძენი და სხვა პროდუქტები.

ამ ზღუდეების ასაღებად ახალი ძალით გაჩაღდა ბრძოლა. წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო ხვნა-თესვა. ამჟამად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საგაზაფხულო კულტურები დათესილია თითქმის სამჯერ მეტ ფართობზე, ვიდრე შარშან ამავე პერიოდისათვის იყო. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ისეთ ძვირფას კულტურას, როგორიც ბარდაა. ეს კულტურა დაითესა 1.200 ჰექტარზე.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ მარტო 1 აპრილიდან 10 აპრილამდე სამმართველოს მეურნეობებში საშუალოდ ერთ ძროხაზე მომატებულია ერთი ლიტრი რძე.

ყოველივე ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია. წინ უდიდესი მუშაობა მოგველის, მუშაობა პასუხსაგები და საპატიო.

**ა. ბექაური,**

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტორგი თეთრი წყაროს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში.

# გამარჯვების გასაღები კადრების ხელშია

**შვიდწლედის** მეოთხე წელი სოფლის მეურნეობაში დიადი ძვრებით დაიწყო. მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ არა მარტო დაგვისახეს ახალი ზღუდეები, არამედ საფუძვლიანადაც გარდაქმნეს სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა. ახლა გაზაფხულია. ყოველი დღე ძვირფასია. ისეთი შრომა გვმართებს, როგორიც ამ დიად დღეებს, პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულებას შეეფერება.

ზუგდიდის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო აერთიანებს ზუგდიდის, წალენჯიხის, ხობისა და მესტიის რაიონებს და ფოთის საბჭოთა მეურნეობებს. ამ საწარმოო სამმართველოში შედის 84 კოლმეურნეობა, 12 საბჭოთა მეურნეობა, 14 ვეტუბანი, ხორცის საკონტროლო 3 სადგური და სხვ.

ეს ტერიტორია გადაჭიმულია შავი ზღვის ნაპირიდან მაღალმთიანი სვანეთის შორეულ სოფლამდე — უშგულამდე.

ნოყიერი მიწებია კოლხეთის ზონაში. საერთო სათესი ფართობი 16.700 ჰექტარს შეადგენს. მრავალწლიან კულტურებს 20.300 ჰექტარი უჭირავს.

მთავარი ყურადღება მივაქციეთ სამმართველოს დაკომპლექტებას კვალიფიციური, უნარიანი სპეციალისტებით. ინსპექტორ-ორგანიზატორებად შერჩეული 13 კაციდან ყველას უმაღლესი სპეციალური განათლება აქვს მიღებული, თვითეულ მათგანზე მიმაგრებულია 7-8 კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა.

შრომის ორგანიზაციის, ანაზღაურების, ხელფასის განყოფილებასა და საგეგმო-საფინანსო განყოფილებაში შერჩეული 18 კაციდან 12 უმაღლესი განათლებით არის.

ინსპექტორ-ორგანიზატორები მათთვის მიმაგრებულ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში იმყოფებიან და საქმეს პრაქტიკულად ადგილზევე წყვეტენ.

ადგილზე, თვითეულ კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში მისვლა, იქ პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელება მთავარია ჩვენს მუშაობაში. რამდენ რამეს აძლევს ამა თუ იმ მეურნეობაში ყოფნა საწარმოო სამმართველოს აგრონომებს, ინსპექტორ-ორგანიზატორებს, პარტორგსა და კომორგს!.. ადგილზე ხვდები ადამიანებს, ხედავ ბევრ ახალს, კარგსაც და ცუდსაც. კარგი შეგიძლია სხვებსაც გადასცე, ცუდი კი იქვე, ნახვისთანავე აღკვეთო, არ დაუშვა, რომ ამ ცუდმა სხვაგანაც არ გაიდგას ფესვი.

სწორედ ამიტომ საწარმოო სამმართველოს შექმნის პირველი დღეებიდანვე ჩვენი მუდმივი ადგილსამყოფელი საკოლმეურნეო მინდვრები და მეცხოველეობის ფერმები გახდა.

წელს ზონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფოს მიჰყიდიან 8.000 ტონა სიმინდს, 31.300 ტონა ჩაის ფოთოლს, 2.500 ტონა ყურძენს, 2.100 ტონა ხილს, 1.850 ტონა ტუნგოს, 517 ტონა აბრეშუმის პარკს, 2.232 ტონა ხორცს, 4.856 ტონა რძეს, 2 მილიონ ცალ კვერცხს.

ამ სერიოზული დავალებების შესრულების მიზნით დიდი ყურადღება მივაქციეთ ერთწლიანი კულტურების თესვისა და ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოვლის აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროულად განხორციელებას.

წელს 14.300 ჰექტარ მარცვლეულ და პარკოსან კულტურებს დავთესავთ. პირველი ხვნა მთლიანად დამთავრებულია. თესვა დავიწყეთ და ეს სამუშაო წარმატებით მიმდინარეობს. დასახულია ღონისძიებანი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება თესვის დამთავრება 1-5 მაისამდე.

ყველა კოლმეურნეობა უზრუნველყოფილია შემოწმებული, ხარისხოვანი თესლით. განსაკუთრებით გავამახვილეთ ყურადღება სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვაზე და მექანიზებულ დამუშავებაზე. დათესილია [illegible] ჰექტარი ბარდა, შემოდგომაზე კი მას 5.000 ჰექტარზე დავთესავთ როგორც შუალედ კულტურას. ჩაის სხვლა თავის დროზე დამთავრდა. დასასრულს უახლოვდება ჩაის პლანტაციებში აზოტოვანი სასუქების პირველი დოზის შეტანა. კიდევ რამდენიმე დღე და ჩაის ფოთლის კრეფა დაიწყება. ამისათვის ზონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მზად არიან.

დიდი გეგმები გვაქვს დასახული იმისათვის, რომ მესტიის მაღალმთიანი რაიონის კოლმეურნეობები ხორცისა და რძის წარმოების ფაბრიკებად გადავაქციოთ. მესტიის რაიონში მეცხოველეობის განვითარების დიდი რეზერვებია. პირველ რიგში ყურადღებას ვაქცევთ საძოვრების სტრუქტურის გაუმჯობესებას, ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვას. მხედველობაში გვაქვს მიღებული სამთო მექანიზაციის განხორციელება.

როგორც მე, ისე სამმართველოს ყველა მუშაკი მინდვრად ვართ. ადგილზე კონკრეტულად ვწყვეტთ საკითხებს. ვიყავი და ახლოს გავეცანი მესტიის, ხობის და წალენჯიხის კოლმეურნეობებისა და ფოთის საბჭოთა მეურნეობების მუშაობას. პატარა ფოთის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობაში ზოგიერთი დარღვევა იყო. ამის გამოსასწორებლად ადგილზე გავგზავნეთ ზოოტექნიკოსი და ინსტრუქტორ-ბუღალტერი.

ხობის რაიონის ახალსოფლის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობაში გავგზავნეთ უფროსი ზოოტექნიკოსი დ. ჰითანავა. მან მიუთითა ახალსოფლელებს იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც იწვევდა გოჭების სიკვდილიანობას. დახმარების შედეგად მდგომარეობა გამოსწორდა.

სამმართველოს უფროსი აგრონომი ჩაის დარგში პ. ალშიბაია ეწვია ხობის რაიონის საჯიჯაოს, ძველი და ახალი ხიბულის მეჩაიეებს, შეამოწმა ჩაის პლანტაციების დამუშავებისა და კრეფისათვის მზადების მდგომარეობა. შემჩნეული ნაკლოვანებები გამოსწორებულია.

მევენახეობის დარგის უფროსმა აგრონომმა თ. ქარცხიამ შეისწავლა წალენჯიხის კოლმეურნეობებში ვენახის საერთო მდგომარეობა და ახალი ვენახების გაშენების საკითხი. ზოგიერთი კოლმეურნეობაში მომარაგებული არ არიან შესაწამლი აპარატებით, ვენახი გამეჩხერებულია და ახალი ვენახის გაშენებაში ჩამორჩებიან. ვიღებთ ზომებს ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

ადგილზე საქმის მოგვარებით ბევრი რამ შემატეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ინსპექტორ-ორგანიზატორებმა ს. კახიანმა, მ. ზურებიანმა, ვ. ჩხაიძემ, ლ. სახეიშვილმა, ი. ლუკავამ, შ. ქირიამ და სხვებმა.

შესწავლილ იქნა სამმართველოში შემავალ კოლმეურნეობებში შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული მრავალწლიანი კულტურების გაშენების საკითხი, რატომღაც ჩაის გაშენება არ იყო დაგეგმილი ხობისა და წალენჯიხის რაიონებში. ეს ხარვეზი გამოსწორებულ იქნა. სერიოზულ ყურადღებას ვაქცევთ ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების გამსხვილებას. ზუგდიდის რაიონის ახალ კახათის კოლმეურნეობა შეუერთდა კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობას, აბასთუმნის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობა — ნარაზენის კოლმეურნეობას. წალენჯიხისა და მესტიის რაიონების ზოგიერთი კოლმეურნეობაც გამსხვილდება.

ჩვენი სამმართველოს კოლექტივი პირობას იძლევა მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა ვადაზე ერთი თვით ადრე — 1 ივნისისათვის შეასრულოს.

წინ ახალი ზღუდეებია. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ გარკვეული წვლილი შევიტანოთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

**ა. მეჟია,**

ზუგდიდის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს უფროსი.

# სწავლება მინდვრად

## «საქსოფლტექნიკის» კარგი ინიციატივა

**მტრედისფრად** რომ ინათა, იროდიონ ჯავახიშვილი ავტომანქანის საჭეს მიუჯდა და გეზი ალაზნის ველისაკენ აიღო. ზვრები, ვაზის სადედე თუ სანერგე მეურნეობანი, მეცხოველეობის ფერმები — რომელ ერთს ჩამოთვლი, კოლმეურნეობის თავკაცს ყველგან აქვს საქმე. მაგრამ ახლა ყველაზე მეტად „მინდვრის დედოფლის" თესვაა საშური. ოთხმოცჰექტარიანი ნაკვეთი მექანიზატორებს ხელისგულივით მოუსწორებიათ, საკმაო ფოსფორი შეუტანიათ.

ალაზნის პირას დღეს „საქსოფლტექნიკის" რესპუბლიკური გაერთიანების მუშაკებმა მარტო შალაურის კი არა, თელავის რაიონის ყველა კოლმეურნეობის მექანიზატორებს სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვის „საიდუმლოებანი" უნდა შეასწავლონ. თელავის ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს ეს გადაწყვეტილება კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მოსწონს და სჯერა, რომ ალაზნის თვალწარმტაც ველს „მწვანე კვადრატებიც" დაამშვენებს.

დილის ათი საათისათვის დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მექანიზატორებთან და კოლმეურნეებთან ერთად აქ არიან საწარმოო სამმართველოს ინსპექტორ-ორგანიზატორები, სპეციალისტები, „საქსოფლტექნიკის" თელავის განყოფილების მუშაკები. რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" რემონტისა და საწარმოო ტექნიკური მომსახურების სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა არჩილ რუხაძემ მექანიზატორებს მოუთხრო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა ცხოველმყოფელობაზე, სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვის დიდ პროგრესულობაზე. შეკითხვებზე მან ამომწურავი პასუხი გასცა.

შემდეგ ა. რუხაძემ პრაქტიკულად უჩვენა, თუ როგორ უნდა თესონ სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივი წესით. ერთი ჰექტარი ფართობი თვითონ დათესა. ბოლოს ყველა მექანიზატორის ცოდნა შეამოწმა და მუშაობაში წარმატება უსურვა.

შალაურელი მექანიზატორები სიმინდს „კვადრატულ-ბუდობრივად" თესავენ. გივი ჯავახიშვილმა პრაქტიკული მეცადინეობის მეორე დღეს თხუთმეტი ჰექტარის დათესვა მოახსენა კოლმეურნეობის გამგეობას. „მინდვრის დედოფლის" კვადრატები წელს ზუსტი იქნება.

კონდოლი. ალაზნის ველზეა ამ სოფლის კოლმეურნეობის სახნავ-სათესი მინდვრები. წელს 864 ჰექტარზე უნდა დათესონ „მინდვრის დედოფალი". სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი დიმიტრი მამუკელაშვილი წარჩინებულ მექანიზატორთა გვარებს ასახელებს. მათ შორის ყველაზე მეტად ვალერიან ფეიქრიშვილს აქებს.

ართანა, ხანიორე, რუისპირი, გულგულა, აკურა. დიდი სიმინდისათვის სალაშქროდ ალაზნის ველზე თელავის რაიონის ყველა კოლმეურნეობის მშრომელი გავიდა. საწარმოო სამმართველოში, პარტიის რაიკომსა თუ რაისაბჭოს აღმასკომში ველ-მინდვრებიდან სასიხარულო ცნობები მოდის. „მწვანე კვადრატები" ყველგან ზუსტი იქნება.

**ს. ქოჩლაძე,**

„კომუნისტის" საკ. კორ.

* * *

**სურათებზე:** თელავის რაიონის სოფელ კონდოლის კოლმეურნეობის მექანიზატორი ვახტანგ მამუკელაშვილი სიმინდის თესვის დაწყების წინ (მარცხნივ); რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" რემონტისა და საწარმოო ტექნიკური მომსახურების სამმართველოს მთავარი ინჟინერი არჩილ რუხაძე (ქვევით შუაში) თელაველ მექანიზატორებს ასწავლის სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვას.

ფოტო მ. თელიაშვილისა.





*მახარაძის ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს კოლექტივი, სპეციალისტები, მეჩაიეები კისრულობენ:*

# ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება შეასრულონ 1-ლ სექტემბრისათვის

**ნაადრევი** გაზაფხულის თბილმა დღეებმა თავისი გაიტანა. ჩაის პლანტაციებში კალათიანი მკრეფავები გამოჩნდნენ. დაიწყო ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა, დაიწყო ჩაის ფოთლის კრეფის ცხარე დღეები! მეჩაიეებმა კარგი სტარტი აიღეს ახალი ზღუდეების დასაპყრობად. ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი ესაუბრა მახარაძის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსს ვ. ჯაყელს.

აი რა თქვა მან:

სამშობლო ჩვენგან მეტსა და მაღალხარისხოვან ჩაის ნედლეულს მოელის. ეს კარგად იციან სამმართველოში შემავალი რაიონების მეჩაიეებმა. ამიტომ არის, რომ ასე მონდომებით შრომობენ „მწვანე ოქროს" პლანტაციებში.

ჩაის პლანტაციებში ყველა სახის სამუშაოები აგროვადებში დამთავრდა. ავწონ-დავწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი და გადავწყვიტეთ მიმდინარე წელს სამშობლოს მივცეთ 46.160 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 44.762 ტონისა. აღსანიშნავია მახარაძის რაიონის სოფელ გურიანთის კოლმეურნეობის მეჩაიეთა სანაქებო შრომა, რომლებმაც რაიონში პირველებმა დაიწყეს ჩაის ფოთლის კრეფა. მათ უკვე ჩაის ფაბრიკას ჩააბარეს 2.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ხოლო ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეებმა მოკრიფეს 5.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ჩაის ფოთლის კრეფა დაიწყო აგრეთვე ნარუჯის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. ქების ღირსია ლანჩხუთის რაიონის სოფლების მამათის, ზემო აკეთის, ქვემო აკეთის, ლესის კოლმეურნეობების მეჩაიეთა შრომა, რომლებიც სანიმუშოდ მოემზადნენ ჩაის კრეფისათვის. ისინი კრეფას ამ დღეებში დაიწყებენ.

ჩაის ფოთლის კრეფისა და ნედლეულის გადამუშავებისათვის მზად არიან აგრეთვე ჩოხატაურის რაიონის ჩაისუბნის, გორაბერეჟოულის, ხიდისთავის და სხვა სოფლების კოლმეურნეობები.

ტერიტორიული სამმართველოს მთელი კოლექტივი, სპეციალისტები, მეჩაიეები ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ აპრილი და მაისი მაქსიმალურად გამოიყენონ და სახელმწიფოს ჩააბარონ წლიური დავალების 35 პროცენტი ნედლეული. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ შემდეგ თვეებში უფრო მაღალი ტემპით გავაჩაღებთ ჩაის ფოთლის კრეფას და წლიურ დავალებას სექტემბრის პირველ რიცხვებში გადაჭარბებით შევასრულებთ.

### ორი ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს სოციალისტური შეჯიბრება

გაზაფხულის ამ შემოქმედებით დღეებში მახარაძის რაიონის კოლმეურნეებს ესტუმრა უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეთა დელეგაცია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირში.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა უკრაინის კომპარტიის გენიჩესკის რაიკომის მეორე მდივანი ე. სოკოლენკო, რომელმაც თათბირის მონაწილეებს გადასცა გენიჩესკის ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში შემავალ მშრომელთა სურვილი, რომ გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება მახარაძის ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოსა და გენიჩესკის ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოს შორის.

მახარაძის ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში შემავალი რაიონების მშრომელები გენიჩესკელთა ამ წინადადებას მოწონებით შეხვდნენ.



# საქართველოს სსრ მრეწველობის 1962 წლის I კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

(დასასრული)

[illegible]

...თის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, საჩხერის, ცაგერის, წულუკიძის, ჩოხატაურის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატებმა და ქალაქ ფიათურის სამრეწველო კომბინატმა. ამ საწარმოებმა სახელმწიფოს დააკლეს 275 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია.

ძირითად სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოება ნატურალური გამოხატულებით მთლიანად რესპუბლიკაში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

| | წარმოებულია 1962 წლის I კვარტალში | 1962 წლის I კვარტალი პროცენტობით 1961 წლის I კვარტალთან შედარებით |
|---|---|---|
| თუჯი — ათასი ტონა | 188 | 98 |
| ფოლადი — ათასი ტონა | 311 | 105 |
| ნაგლინი — ათასი ტონა | 238 | 109 |
| ფოლადის მილები — ათასი ტონა | 92,3 | 101 |
| ქვანახშირი — ათასი ტონა | 694 | 108 |
| საერთო კოქსი — ათასი ტონა | 161 | 104 |
| ელექტროენერგია — მილიონი კილოვატ-საათი | 988 | 118 |
| მინერალური სასუქები — ათასი ტონა | 83 | 109 |
| სამაგისტრალო ელმავლები — ცალი | 38 | 165 |
| სატვირთო ავტომობილები — ცალი | 1.940 | 129 |
| ლითონსაჭრელი ჩარხები — ცალი | 1.001 | 105 |
| კომკურა ამწევები — ცალი | 32 | 139 |
| ელექტროკარები — ცალი | 490 | 140 |
| სასოფლო-სამეურნეო მანქანები (სათადარიგო ნაწილების გარდა) — ათასი მანეთი | 225 | 114 |
| ტრაქტორის კულტივატორები — ცალი | 126 | 168 |
| ცემენტი — ათასი ტონა | 321,5 | 100,1 |
| შიფერი — მილიონი პირობითი ფილა | 13,1 | 103 |
| აგური (გარდა დამხმარე საწარმოთა და კოლმეურნეობათა წარმოებისა) — მილიონი ცალი | 76,6 | 109 |
| ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — ათასი კუბური მეტრი ნაკეთობა | 94,2 | 132 |
| ქაღალდი — ათასი ტონა | 8,4 | 98 |
| ავეჯი — მილიონი მანეთი | 4,7 | 102 |
| სარეცხი მანქანები — ცალი | 6.640 | 204 |
| ბამბის ქსოვილები — მილიონი გრძივი მეტრი | 13,9 | 118 |
| აბრეშუმის ქსოვილები — მილიონი გრძივი მეტრი | 5 | 103 |
| შალის ქსოვილები — მილიონი გრძივი მეტრი | 1,2 | 99 |
| წინდა — მილიონი წყვილი | 2,1 | 99,5 |
| ტრიკოტაჟის საცვლები — მილიონი ცალი | 2,5 | 143 |
| ზედა ტრიკოტაჟი — მილიონი ცალი | 0,8 | 132 |
| ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი | 2,6 | 95 |
| პიანინოები და როიალები — ცალი | 822 | 103 |
| თევზჭერა — ათასი ტონა | 1,6 | 109 |
| ხორცი პირველი კატეგორიის სუბპროდუქტების ჩათვლით (სამრეწველო გამომუშავება კოოპერაციული მრეწველობის საწარმოთა გარდა) — ათასი ტონა | 4,4 | 97 |
| ერბო-კარაქი (კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის შინა წარმოების გარდა) — ტონა | 115 | 82 |
| ყველი — ათასი ტონა | 1,3 | 90 |
| მარგარინის ნაწარმი — ათასი ტონა | 3,2 | 111 |
| კონსერვები — მილიონი პირობითი ქილა | 20,7 | 101 |
| საკონდიტრო ნაწარმი — ათასი ტონა | 5 | 105 |
| მაკარონის ნაწარმი — ათასი ტონა | 3,6 | 118 |
| ნატურალური ხარისხოვანი დაფასოებული ჩაი — ათასი ტონა | 2,5 | 123 |
| ფხვნილი შაქარი — ათასი ტონა | [illegible] | [illegible] |
| პაპიროსი და სიგარეტი — მილიონი ცალი | 3,3 | 89 |
| ყურძნის ღვინო — მილიონი დეკალიტრი | 1,6 | 129 |
| შამპანური — მილიონი ბოთლი | 1,7 | 102 |
| საპონი — ათასი ტონა | 3,6 | 97 |

გეგმის გადამეტებით წარმოებულია ფოლადი — 4,8 ათასი ტონა, ნაგლინი — 12,8 ათასი ტონა, ფოლადის მილები — 530 ტონა, კოქსი — 9,2 ათასი ტონა, ქვანახშირი — 10 ათასი ტონა, ელექტროენერგია — 61 მილიონი კილოვატ-საათი, ტრაქტორის კულტივატორები — 21 ცალი, სასოფლო-სამეურნეო მანქანები — 55 ათასი მანეთისა, ქაღალდი — 30 ტონა, ცემენტი — 8,5 ათასი ტონა, აგური — 2,7 მილიონი ცალი, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — 2,6 ათასი კუბური მეტრი, შიფერი — 139 ათასი ცალი პირობითი ფილა, აბრეშუმის ქსოვილები — 97 ათასი გრძივი მეტრი, ტრიკოტაჟის საცვლები — 49 ათასი ცალი, ზედა ტრიკოტაჟი — 17 ათასი ცალი, ხორცი — 1,3 ათასი ტონა, ერბო-კარაქი — 53 ტონა, ფხვნილი შაქარი — 1,8 ათასი ტონა, მაკარონის ნაწარმი — 10 ტონა, მცენარეული ზეთი — 420 ტონა, ნატურალური ჩაი (ხარისხოვანი დაფასოებული) — 54 ტონა, ყურძნის ღვინო — 16 ათასი დეკალიტრი, შამპანური — 20 ათასი ბოთლი და სხვ.

შრომის ნაყოფიერების გეგმა პირველ კვარტალში მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობამ შეასრულა 101 პროცენტით, აქედან სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ — 102 პროცენტით. 1961 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერების ზრდამ რესპუბლიკაში შეადგინა 7 პროცენტი, სახალხო მეურნეობის საბჭოში — 6 პროცენტი.

სასაქონლო პროდუქციის ერთ მანეთზე ხარჯების შემცირების გეგმა, რომელიც დაწესებული იყო 1962 წლის იანვარ-თებერვლისათვის შესრულებული არ არის. სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების გადიდებით გამოწვეულმა გადახარჯვამ მთლიანად რესპუბლიკაში 2,6 მილიონი მანეთი შეადგინა.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

**16 აპრილს** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემდეგი წარდგინება გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოსკოვში.

1962 წლის 12 აპრილს კომპეტენტურმა საბჭოთა ორგანოებმა სავალუტო გარიგების წარმოების დროს დააკავეს იტალიელი მოქალაქენი — ცეზარინა სტორონი, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს თანამშრომელი და დინო სტორონი, თურქეთის საელჩოს თანამშრომელი მოსკოვში. ცეზარინა სტორონის ჩამოერთვა დიდძალი საბჭოთა ფული, აგრეთვე ცეზარინა სტორონის პირადი ჩანაწერები სავალუტო გარიგებათა ანგარიშსწორების შესახებ, ხოლო საბჭოთა მოქალაქეს, რომელიც მათთან ერთად იქნა დაკავებული, — ჩამოერთვა ამერიკული დოლარები.

გამოძიების მსვლელობაში დადგენილია, რომ ცეზარინა სტორონი და მისი ძმა დინო სტორონი 1959-1962 წლებში ეწეოდნენ უკანონო სავალუტო ოპერაციებს — ამჟამად დაპატიმრებულ საბჭოთა მოქალაქეებს სპეკულანტურ ფასად აძლევდნენ დიდძალ ამერიკულ დოლარებსა და ოქროს საათებს, რომლებიც კონტრაბანდის გზით შემოჰქონდათ საბჭოთა კავშირში. ცეზარინა სტორონიმ და დინო სტორონიმ, რომელთაც დანაშაულზე წაასწრეს, სავსებით დამნაშავედ ცნეს თავი, რომ ისინი არღვევდნენ საბჭოთა კანონმდებლობას და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეწეოდნენ სპეკულაციურ სავალუტო და კონტრაბანდულ ოპერაციებს.

არსებული საბჭოთა კანონმდებლობის შესაბამისად ცეზარინა სტორონი და დინო სტორონი მიცემულ უნდა იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, მაგრამ საბჭოთა კომპეტენტურმა ხელისუფლებამ შესაძლებლად მიიჩნიეს დაკმაყოფილდნენ სსრ კავშირიდან მათი გაძევებით.

ზემოაღნიშნულის გამო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ დაუშვებელია საელჩოს თანამშრომლის ასეთი მოქმედება და მოელის, რომ საელჩო განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს, რათა არ დაუშვან ამგვარი უკანონო მოქმედება მომავალში.

ანალოგიური წარდგინება გაეგზავნა თურქეთის საელჩოს მოსკოვში.

## დ. რასკი შეხვდა ა. ფ. დობრინინს

**ვაშინგტონი,** 17 აპრილი. (საკდესი). გუშინ აქ გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დ. რასკისა და შეერთებულ შტატებში საბჭოთა კავშირის ელჩის ა. ფ. დობრინინის შეხვედრა.

შეხვედრის დროს, რომელიც ერთ საათსა და ათ წუთს გრძელდებოდა, შეეხნენ მთელ რიგ საკითხებს,

შეთანხმდნენ, რომ შეხვედრები გაგრძელდება.

# ნეიტრალური ქვეყნების მემორანდუმი

## ჟენევის თათბირზე

**ჟენევა,** 16 აპრილი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ა. კისლოვი იუწყება:

დღეს ეთიოპიის დელეგატის თავმჯდომარეობით გაიმართა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის ოცდამეერთე პლენარული სხდომა.

სხდომის დასაწყისში სიტყვა აიღო სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ა. ზორინმა, რომელმაც წაუკითხა კომიტეტის წევრებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის საპასუხო წერილი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ჰ. მაკმილანისადმი.

საბჭოთა წარმომადგენელმა ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი შეეხება საკითხებს, რომელთაც განსაკუთრებით დიდი და პრინციპული მნიშვნელობა აქვთ განიარაღების შესახებ თათბირის მთელი მუშაობისათვის, და მიმართა თხოვნით — გამოსცენ იგი როგორც 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის ოფიციალური დოკუმენტი.

შემდეგ გამოვიდნენ ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატები, რომლებიც შეეცადნენ შეემცირებინათ ის დიდი შთაბეჭდილება, რაც საბჭოთა მთავრობის მეთაურის წერილმა მოახდინა კომიტეტის წევრებზე.

შემდეგ სიტყვა მიეცა ბრაზილიის წარმომადგენელს, რომელმაც 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მუშაობაში მონაწილე ყველა მიუმხრობელი ქვეყნის დელეგაციათა სახელით, ესე იგი ბირმის, ბრაზილიის, ინდოეთის, მექსიკის, ნიგერიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, შვეციისა და ეთიოპიის დელეგაციათა სახელით, კომიტეტის წევრთა განსახილველად წარადგინა მემორანდუმი ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე. მემორანდუმის ავტორები მოუწოდებენ ატომურ სახელმწიფოებს არ შეწყვიტონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია რაც შეიძლება მალე დაიდოს შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის სამუდამოდ აკრძალვის შესახებ. ამ მიზნით ისინი, კერძოდ, წინადადებას აყენებენ შეიქმნას, როგორც თვითონ ამბობენ, მუდმივი მეთვალყურეობისა და ეფექტიანი კონტროლის სისტემები წმინდა მეცნიერულ და არაპოლიტიკურ საფუძველზე.

შემდეგ მოკლე განცხადებანი გააკეთეს ინგლისის, იტალიისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა, რომლებმაც აღუთქვეს კომიტეტს, რომ ღრმად და სერიოზულად შეისწავლიან ამ დოკუმენტს და დაუყოვნებლივ მოახსენებენ ამის შესახებ თავიანთ მთავრობებს. ამასთანავე ინგლისისა და ამერიკის დელეგატები შეეცადნენ ეჭვი გამოეთქვათ ნეიტრალურ სახელმწიფოთა წინადადების შესახებ. მათ განაცხადეს, ჩვენ წამოგვეჭრა მთელი რიგი საკითხები, კერძოდ, კი, ადგილებზე საკონტროლო საგუშაგოთა შექმნის საკითხი.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა შემდეგ აგრძნობინა კომიტეტს, რომ შეერთებულ შტატებს განზრახული არა აქვთ ხელი აიღონ თავიანთ მოთხოვნებზე — შეიქმნას საერთაშორისო საკონტროლო საგუშაგოთა განშტოებული ქსელი, ხოლო ინგლისის დელეგატმა ისიც კი განაცხადა, რომ არ იცის, წარმატებას მოუტანს თუ არა ეს ახალი წინადადება კომიტეტის მუშაობას.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ა. ზორინმა პირობა მისცა კომიტეტს, რომ საბჭოთა მთავრობა დიდი ყურადღებით შეისწავლის მემორანდუმს ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე, რომელიც ნეიტრალური ქვეყნების იმ მისწრაფების შედეგია, რომ მკვდარი წერტილიდან დაიძრას მოლაპარაკება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ.

შემდეგ ვ. ა. ზორინმა კომიტეტის მიერ მიღებული მუშაობის განრიგის შესაბამისად წინადადება შეიტანა დაიწყონ საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ მომავალი შეთანხმების მორიგი კარის განხილვა.

შემდეგ მან თქვა, რომ საბჭოთა მთავრობა განიარაღებისადმი უაღრესად მტკიცე და საიმედო საერთაშორისო კონტროლის ურყევი მომხრეა, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის პოზიცია კონტროლის საკითხში განისაზღვრება მისწრაფებით — უზრუნველყოფილ იქნეს ხელშეკრულების მონაწილეთა ის მტკიცე რწმენა, რომ საყოველთაო და სრულ განიარაღებას ყველა ახორციელებს პატიოსნად და კეთილსინდისიერად, რომ არც ერთი სახელმწიფო არ არიდებს თავს განიარაღების შესახებ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. ამავე დროს, განაგრძო მან, საბჭოთა კავშირი, როგორც უკვე არაერთხელ განუმარტავს საბჭოთა მთავრობის მეთაურს ნ. ს. ხრუშჩოვს, მზად არის მიიღოს ყოველგვარი წინადადება განიარაღებისადმი კონტროლის შესახებ, რომლებსაც წამოაყენებენ დასავლეთის სახელმწიფოები, თუ კი ისინი მიიღებენ საბჭოთა კავშირის წინადადებებს საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

შემდეგ ვ. ა. ზორინი შეეხო საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების პროექტის მეორე მუხლის კონკრეტულ განხილვას და განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ეს მუხლი ითვალისწინებს შეიქმნას განიარაღების საერთაშორისო ორგანიზაცია ხელშეკრულების მონაწილე ყველა სახელმწიფოს შემადგენლობით. მან დაწვრილებით დაახასიათა ამ ორგანიზაციის უფლებანი და ფუნქციები.

ვიმედოვნებთ, განაცხადა დასასრულ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა, რომ ჩვენი წინადადებანი საყოველთაო და სრული განიარაღებისადმი კონტროლის შესახებ ძირითადად მისაღები აღმოჩნდება ყველა იმისათვის, ვინც ნამდვილად ესწრაფვის განიარაღების პრობლემის გადაჭრას.

დარწმუნებული ვართ, რომ თუ ყველა გულწრფელად მოისურვებს შეთანხმებას, არ გაგვიძნელდება მოლაპარაკება კონტროლის საკითხებზე.



პანამელი პატრიოტები აქტიურად იბრძვიან იმისათვის, რომ დაიბრუნონ ამერიკელი იმპერიალისტების მიერ მიტაცებული არხის ზონა.

**სურათზე:** ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული პოლიცია არბევს პანამელებს, რომლებიც მოითხოვენ თავისუფალ გასასვლელს არხის ზონაში.

## ყვავილი ინდოეთში

**დელი,** 17 აპრილი. (საკდესი). აზამგარხის ოლქში (უტარ პრადეშის შტატი), იუწყება გაზეთი „სტეიტსმენი", უკანასკნელ ხუთ თვეში ყვავილით გარდაიცვალა 600-ზე მეტი კაცი.

## ი. ანგენფორტი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადმოვიდა

**ბერლინი,** 17 აპრილი. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტო იუწყება, მშვიდობისათვის დასავლეთგერმანელი მებრძოლი ი. ანგენფორტი, რომელსაც გამალებით ეძებდა დასავლეთ გერმანიის პოლიცია საპატიმროდან მისი გაქცევის შემდეგ, 15 აპრილს ღამით გადმოვიდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოსვლის შემდეგ ი. ანგენფორტმა გააკეთა განცხადება პრესისათვის: „მე მივესალმები ყველა ჩემს ამხანაგს, რომლებთან მუდამ დაკავშირებული ვარ მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლით, — თქვა მან. — მხურვალე მადლობას ვუხდი ყველას, ვინც თავდადებით და მამაცურად მეხმარებოდა".

**სოციალისტურ ქვეყნებში**

## მარსელ გეტცი კვლავ ხედავს

„ბულგარეთი მშვენიერი ქვეყანაა, იგი ჩემთვის მეორე სამშობლოა, რადგან ბულგარეთში დამიბრუნეს მხედველობა. ბულგარეთმა დამიბრუნა მზე, სინათლე, სიცოცხლე. წავალ საფრანგეთში, და ხსოვნაში სამუდამოდ ჩამრჩებიან თქვენი ქვეყნის გულითადი ადამიანები, უაღრესად ჰუმანური ექიმები, რომლებსაც თავისი სიცოცხლის მიზნად ადამიანის ჯანმრთელობისათვის ბრძოლა გაუხდიათ. ბულგარულმა ნივალინმა დამიბრუნა მხედველობა. ბულგარეთის მედიცინა არა მარტო ნდობის, არამედ აგრეთვე პატივისცემის ღირსია. მან გააკეთა ის, რის წინაშეც ჩვენი ექიმები უძლურნი აღმოჩნდნენ".

ასე გამოთქვა თავისი მადლობა ფრანგმა ქალმა მარსელ გეტცმა, საფრანგეთის კულტურის მინისტრის ტექნიკურმა მრჩეველმა.

მარსელ გეტცი დაბრმავდა შემთხვევით ესპანეთში მოგზაურობის დროს. ფრანგი ექიმების ყველა ცდა — დაებრუნებინათ მისთვის მხედველობა უშედეგო აღმოჩნდა. ბულგარული ნივალინის ამბავი რომ გაიგო, რომელსაც დიდი წარმატებით იყენებენ ნერვული სისტემის ზოგიერთი დაავადების დროს, მან შეიძინა გარკვეული დოზა და დაიწყო მკურნალობა. პირველი რამდენიმე შეშხაპუნების შემდეგ ავადმყოფმა თავი უკეთ იგრძნო და ბულგარეთში ჩამოვიდა. აქ მას მკურნალობდნენ პროფ. დიმიტრ პასკოვი, ნივალინის შემქმნელი, და ნენჩო ტოდოროვი, სოფიის სამედიცინო ინსტიტუტის თანამშრომლები. ორი თვის მკურნალობის შემდეგ მარსელ გეტცს მხედველობა დაუბრუნდა.

ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო.

## ვარნის კურორტებზე

### აქ 65 ათასზე მეტი უცხოელი დაისვენებს

**წელს** ვარნის ახლოს მდებარე საერთაშორისო კურორტებზე დასასვენებლად ჩამოვა 65 ათასზე მეტი უცხოელი, განაცხადა ვარნის „ბალკანტურისტის" დირექტორმა ი. ნესტეროვმა გაზეთ „ზემედელსკო ზნამეს" წარმომადგენელთან საუბარში. პირველი დამსვენებლები ჩამოვლენ 15 მაისისათვის — ჩვეულებრივზე ორი კვირით ადრე.

ი. ნესტეროვმა განაცხადა, რომ შარშან ორ კურორტზე ისვენებდა სოციალისტური და დასავლეთის ქვეყნებიდან ჩამოსული 58 ათასამდე კაცი. წელს ვარნის კურორტებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ავსტრია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და სკანდინავიის ქვეყნები.

ამჟამად ორივე კურორტი სტუმრების მისაღებად ემზადება. მიმდინარე რემონტთან ერთად მთავრდება ორი ახალი სასტუმროს — თერთმეტსართულიანი 160 ადგილიანი „ასტორიისა" და ხუთსართულიანი 150 ადგილიანი „სოფიის" მშენებლობა.

# განიარაღება მშვიდობის გარანტიაა

# დებრე წავიდა, პომპიდუ მოვიდა

## საერთაშორისო თემაზე

რეფერენდუმის შემდეგ საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე ვნებათა ღელვა არ ცხრება.

ალჟირში, ქალაქ ორანში, ოას-ელები კვლავ თავხედობენ. საფრანგეთის რეგულარულ ჯარებს, ჟანდარმებსა და ოას-ელებს შორის ხელჩართული ბრძოლები იმართება. ქალაქის ქუჩებში სამხედრო ოპერაციებში ტანკები, არტილერია, დიდი კალიბრის ტყვიამფრქვევები მონაწილეობენ. სალანი თავის ძოწიცებს არ თმობს.

პარიზში სამხედრო ტრიბუნალის წინაშე წარდგა ამას წინათ ორანში დატყვევებული, დე გოლის ყოფილი მეგობარი, ოას-ელების ერთ-ერთი ბელადი, სალანის უახლოესი თანამებრძოლი, ყოფილი გენერალი ჟუო. 1961 წლის ალჟირის პუტჩში მონაწილეობისათვის მას დაუსწრებლად მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა. პარიზის დემოკრატიული საზოგადოებრიობა კატეგორიულად მოითხოვდა ჟუოს გილიოტინირებას. ჟუოს ალჟირელი და ფრანგი ბავშვების მოხუცების, ქალების სისხლში აქვს ხელები გასვრილი. ახლა ტრიბუნალმა მას კვლავ სიკვდილი მიუსაჯა. მისი პატიება მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია.

დე გოლის პარტიას, „ახალ რესპუბლიკის დაცვის კავშირს" გადაწყვეტილი ქონდა რეფერენდუმის შემდეგ დაეთხოვნა პარლამენტი და ახალი არჩევნები დაენიშნა. ამის შესახებ ფრანგებს ოფიციალურადაც აცნობეს: რეფერენდუმის შედეგების დაკვირვებული ანალიზის შემდეგ დე გოლმა ეს განზრახვა არ განახორციელა. რეფერენდუმმა ერთი რამ გამოააშკარავა. ფრანგებმა „ჰო" მშვიდობას უთხრეს და არა დე გოლის სახიფათო საგარეო და საშინაო პოლიტიკას. საპარლამენტო არჩევნები ამ ვითარებას სააშკარაოზე გამოიტანდა. დე გოლმა უკან დაიხია, პარლამენტი არ დაითხოვა, ახალ არჩევნებზე უარი თქვა.

სამაგიეროდ გენერალმა საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების საჭადრაკო დაფაზე პაიკები გადაანაცვლა. პრემიერ-მინისტრი მიშელ დებრე დაითხოვა. იქ არსებული წესის მიხედვით ეს მთელი კაბინეტის ავტომატურ გადადგომას იწვევს.

რატომ დაითხოვეს მიშელ დებრე? ის ხომ 1958 წლიდან იყო პრემიერ-მინისტრი. დებრეს არასოდეს არ დაუმალავს, რომ „ფრანგული ალჟირის" პოლიტიკის, ე. ი. ალჟირის ძალით ინკორპორაციის, შემოერთების მომხრე იყო. ისიც ცნობილია, რომ თვითონ დე გოლი ამავე პოლიტიკის მომხრე იყო. ცხოვრებამ, ალჟირელი ხალხის გმირულმა ბრძოლამ ეს პოლიტიკა დაამარცხა.

და აი ახლა პრეზიდენტმა მიშელ დებრეს გადააბრალა ამ პოლიტიკის მარცხი და ის თავიდან მოიშორა. დე გოლს აღ სჭირდება მიშელ დებრე, პარლამენტის მრავალგზის დეპუტატი, ამ დაწესებულების ცხოვრებაში კარგად გამოცდილი და გაწვრთნილი მოღვაწე. ერთი სიტყვით, მავრმა გააკეთა თავისი საქმე, და მას პანღური ამოჰკრეს. დე გოლს არც პარლამენტი სჭირდება, არც ამ პოლიტიკური ინსტიტუტის კომბინაციებში ჩახედული მოღვაწეები.

მიშელ დებრეს მონაცვლედ დე გოლმა ჟორჟ პომპიდუ დანიშნა.

თუ ვინ უნდა გახდეს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი, დე გოლს გარდა არავის ეკითხება. გენერალისათვის მინისტრთა საბჭო სულ უბრალო სამოხელეო აპარატია. ახლა საფრანგეთში მინისტრები მოწოდებული არიან უსიტყვოდ, ულაპარაკოდ შეასრულონ პრეზიდენტის ზრახვები და ფიქრები, რომელთა შესახებ ისინი ხშირად ტელევიზიით და რადიოთი შეიტყობენ ხოლმე. გენერალი ხომ ხშირად სარგებლობს ახალი ცივილიზაციის პირობებში შექმნილი ამ მეტად კარგი საინფორმაციო საშუალებით.

ვინ არის ჟორჟ პომპიდუ? ის არასოდეს არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, არც დეპუტატობა ღირსებია. ის ბიზნესმენია, ბანკირია, ძმების როტშილდების ბანკის დირექტორი, მრავალი დიდი კონცერნისა და კომპანიის მეთაური, მათ შორის იმ გაერთიანებებისა, რომელნიც დიდად არიან დაინტერესებულნი საჰარის ნავთობის სიმდიდრით.

მინისტრთა საბჭოში თავის პოსტებზე დარჩნენ ისეთი მოღვაწეები, როგორიც არიან შინაგან საქმეთა მინისტრი ფრე, საგარეო საქმეთა მინისტრი კუვ დე მიურვილი, სამხედრო მინისტრი მესმერი და სხვები.

გენერალი დე გოლი დიდი ხანია იცნობს პომპიდუს. დე გოლი არისტოკრატიული წოდების ის წარმომადგენელია, რომელიც მრავალმხრივ არის დაკავშირებული საფრანგეთის ფინანსურ წრეებთან.

1944-46 წლებში დე გოლის პირველ კაბინეტში ჟორჟ პომპიდუს უკვე ეჭირა მინისტრის პოსტი. 1958 წლიდან, რაც დე გოლი პრეზიდენტი გახდა, პომპიდუ გენერლის კანცელარიას განაგებს.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს ამიერიდან უხელმძღვანელებს პრეზიდენტის უახლოესი თანამშრომელი, მისი ნდობით აღჭურვილი, საფრანგეთის ყველაზე გავლენიანი ფინანსური ოლიგარქიის წარმომადგენელი.

გენერალს მისი თაყვანისმცემლები მეოცე საუკუნის ჟანა დ'არკად აცხადებენ. ისტორია მოგვითხრობს ჟანა დ'არკი კოცონზე რომ მიდიოდა, მას ფრანგი გლეხების და პატრიოტულად განწყობილი მდაბალი წოდების წარმომადგენლები ახრი, კარლოსი, იზაბო და კალიქსტი ეხვივნენ გარსო.

ჩვენ საუკუნეში კოცონზე კი არა, ელისეს სასახლეში გენერალი გაცილებით უფრო კარგად გრძნობს თავს ძმების როტშილდების, დე ვანდელების და სხვათა მათ მსგავსთა კამპანიაში.

**ვლ. მაჭავარიანი.**

**საფრანგეთის** ბევრი პროგრესული გაზეთი „თეთრი ლაქებით" გამოდის — ცენზურა ამოჭრის ხოლმე სტატიებს, რომლებშიც გაკრიტიკებულია მთავრობის პოლიტიკა.



დე გოლი:
— გაზეთებიდან სტატიებს მე ვჭრიდი? აქ არაფერ შუაში არა ვარ! ეს ისევე ცხადია, როგორც ის, რომ ცხვირი თავის ადგილზე მაქვს.

ნახატი გაზეთ „ლიბერასიონიდან", პარიზი.

## ულტრების ახალი დანაშაული

**პარიზი,** 17 აპრილი. (საკდესი). ოასელებმა გააქტიურეს საქმიანობა ორანში — სიდიდით ალჟირის მეორე ქალაქში. ქალაქის ევროპულ უბნებში საყოველთაო გაფიცვაა, რომელიც პროვოკაციით მოაწყეს „ულტრებმა". „ულტრების" რაზმები, სამხედრო ფორმით გამოწყობილნი, აშკარად დადიან ქალაქის მთავარ ქუჩებში.

როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, ერთ-ერთი ასეთი რაზმი, რომელმაც სცადა იარაღის ხელში ჩაგდება, თავს დაესხა სამხედრო ზონაკს ქალაქის განაპირა უბანში. გაიმართა სროლა, რომლის დროსაც მოკლულია ერთი და დაჭრილია ორი ფრანგი ჯარისკაცი.

„ულტრებმა" ახალი დანაშაული ჩაიდინეს ქალაქ ფილიპვილში. მათ იქ დემონსტრაცია გამართეს და რამდენიმე გრანატი ესროლეს კაფესა და მაღაზიებს, სადაც ალჟირელები იყვნენ. დაიღუპა ორი ალჟირელი.

## კრიშნა მენონის განცხადება

**დელი,** 17 აპრილი. (საკდესი). მადრასის გაზეთმა „ჰინდუმ" დაბეჭდა თავისი კორესპონდენტის ინტერვიუ ინდოეთის თავდაცვის მინისტრ კრიშნა მენონთან, რომელიც ინდოეთის დელეგაციას მეთაურობს 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში.

აქ შიშობენ, განაცხადა კერძოდ, მენონმა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მალე განაახლებენ ატომური იარაღის გამოცდას და ამისათვის პასუხისმგებლობას დააკისრებენ საბჭოთა კავშირს, დააბრალებენ მას, რომ არ მოისურვა დათანხმებულიყო ხელშეკრულების დადებაზე.

ეს თავის მხრივ საბჭოთა კავშირს განაახლებინებს გამოცდას და ამრიგად, მანკიერი წრე დარჩება. ნერუმ ბევრჯერ განაცხადა კატეგორიული პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ რომელიმე სახელმწიფომ განაახლოს ატომური იარაღის გამოცდა, სანამ ჟენევაში 18 სახელმწიფოს კომიტეტის თათბირი მიმდინარეობს. ინდოელი პოლიტიკური მოღვაწეები დარწმუნებული არიან, რომ, თუ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამჟამად განაახლეს გამოცდა, მთელი მსოფლიო დაგმობს მათ განიარაღების თათბირის ჩაშლის გამო. უნდა ვაიხსენოთ, რომ ექვსი წლის წინათ განიარაღების შესახებ მოლაპარაკების წარმატებით განვითარებას სწორედ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეუშალეს ხელი.

## პაკისტანი ტაშს უკრავს

**ყარაჩი,** 17 აპრილი. (საკდესი). პაკისტანში დიდი წარმატებით მიმდინარეობს საქართველოს მოცეკვავეთა ანსამბლის გასტროლები. ამჟამად ქართველი მსახიობები გამოდიან აღმოსავლეთ პაკისტანის უდიდეს ქალაქ დაკაში. ადგილობრივი პრესის ცნობით, საბჭოთა მსახიობების პირველმა კონცერტმა უდიდესი წარმატებით ჩაიარა. გაზეთები აღნიშნავენ ანსამბლის მონაწილეთა მაღალ საშემსრულებლო ოსტატობას,



**სამხრეთ ვიეტნამის** პატრიოტები დიდი ხანია ბრძოლას ეწევიან ნგო დინ დიემის საძულველი რეჟიმის წინააღმდეგ. ეს გამყიდველი ხროვა ამერიკის დახმარებით ჩაგრავს ხალხს.

**სურათზე:** ნგო დინ დიემის ჯარების მხეცობის მსხვერპლნი სამხრეთ ვიეტნამის ერთ-ერთ სოფელში.

ფოტო [illegible]-საკდესისა.

**საერთაშორისო ... ცხოვრება**



# საქართველოს თეატრალური საზოგადოების V ყრილობა

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში 17 აპრილს მუშაობას განაგრძობდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების V ყრილობა.

მოხსენება საქართველოს თეატრალური საზოგადოების წესდების ცვლილებათა შესახებ გააკეთა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" რედაქტორმა ო. ეგაძემ. ყრილობას მიესალმნენ: უკრაინის თეატრალური საზოგადოებისა და სცენური ხელოვნების მუშაკთა სახელით სსრ კავშირის სახალხო არტისტი დ. მილიუტენკო, სომხეთის თეატრალური საზოგადოების სახელით — დრამატურგი ა. არაქსმანიანი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორმა დ. ანთაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბოჭორიშვილმა, გორის დრამატული თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. აბრამიშვილმა, პოეტმა-დრამატურგმა ვ. გაბესკირიამ, საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ე. გოგიაშვილმა, პოეტმა-აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ, თეატრისმცოდნემ ე. გუგუშვილმა, მწერალმა-დრამატურგმა რ. ქორქიამ, საქართველოს სახალხო მხატვარმა ე. ახვლედიანმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა პროფესორმა ა. ფაღავამ, სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა ვ. ანჯაფარიძემ, ა. ხორავამ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსმა გ. ფოფხაძემ, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ბ. ჟღენტმა.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. მჭედლიძემ წაიკითხა თეატრალური საზოგადოების V ყრილობის მონაწილეთა წერილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი. ქართული თეატრალური ხელოვნების ოსტატები აღუთქვამენ პარტიასა და მთავრობას, რომ კიდევ უფრო მაღლა ასწევენ მოწინავე საბჭოთა სოციალისტური თეატრალური ხელოვნების დროშას, შექმნიან კომუნიზმის მშენებლობის დიადი ეპოქის შესაფერ ნაწარმოებებს, სცენაზე უჩვენებენ საბჭოთა ადამიანის, მშვიდობისათვის, თავისი სამშობლოს, მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის მებრძოლის ცხოვრებას.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის მუშაობა ყრილობამ დამაკმაყოფილებლად შეაფასა.

მიღებულია რეზოლუცია, რომელიც მიზნად ისახავს თეატრალური საზოგადოების მუშაობის გაუმჯობესებას. დამტკიცებულია წესდების ცვლილებანი.

ყრილობამ აირჩია ახალი გამგეობა, სარევიზიო კომისია.

თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის საპატიო წევრად არჩეულია საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნ. ჩხეიძე.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების V ყრილობამ დაამთავრა მუშაობა. (საქინფორმი).

• • •

**სურათზე:** საქართველოს თეატრალური საზოგადოების V ყრილობის მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **გ. დავითაშვილი**, აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი **ა. ალექპეროვი**, ბაქოს მოზარდ მაყურებელთა თეატრის დირექტორი **ა. ისმაილოვი**, უკრაინის თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **ნ. გენდლოვსკაია**, სსრ კავშირის სახალხო არტისტი **დ. მილიუტენკო** და სომხეთის სსრ სახალხო არტისტი **ა. ავეტისიანი**.

## ნ. ა. თევზაძე — ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი



**საქართველოს** ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოდეზია-მარკშეიდერიის კათედრის გამგემ, დოცენტმა ნიკოლოზ არტემისძე თევზაძემ ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„სამარკშეიდერო-გეოდეზიური განაზომების მათემატიკური დამუშავების თეორიული საფუძვლები"**.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ნიკოლოზ არტემის-ძე თევზაძისათვის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მიკუთვნება.

## ეს საღამო მიეძღვნა აფრიკის თავისუფლებას

**აფრიკის** თავისუფლების დღეს მიეძღვნა თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრება, რომელიც 16 აპრილს გაიმართა. კრება მოაწყეს საქართველოს აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ. გულთბილად მიესალმნენ შეკრებილნი სტუმრებს — კონგოდან, კენიიდან, ნიგერიდან, ნიგერიიდან, სომალიდან, ერაყიდან, სამხრეთ და ჩრდილოეთ როდეზიიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს, რომლებიც სწავლობენ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადსაგანმანათლებლო ფაკულტეტზე.

შესავალი სიტყვით კრება გახსნა საბჭოთა კავშირის აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა პოეტმა ი. ნონეშვილმა.

მოხსენება აფრიკის თავისუფლების დღის შესახებ გააკეთა დოცენტმა შ. კურდღელაშვილმა.

კრებაზე გამოვიდნენ აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა ც. აბაშიძე, თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი დ. სვანი, საქართველოს აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის რესპუბლიკური კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ნ. კოქლაშვილი.

დიდი ყურადღებით მოისმინეს შეკრებილებმა ჩრდილოეთ როდეზიის სტუდენტის ლასტვან ტემბოს გამოსვლა.

## პიანისტები, მევიოლინეები

**მოსკოვი**, 15 აპრილი. (საქინფორმი). მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში, სადაც პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის მეორე საერთაშორისო კონკურსი მიმდინარეობს, დღეიდან მევიოლინეების შემდეგ შეჯიბრებაში ჩაებნენ ახალგაზრდა პიანისტები — 21 ქვეყნის წარმომადგენლები.

პიანისტთა კონკურსი შუადღეზე გახსნა 29 წლის ინსტრუმენტალისტმა სამუელ დიულორტ-ლესლიმ (ამერიკის შეერთებული შტატები, ჯორჯიის შტატი).

**მოსკოვი**, 16 აპრილი. (საქინფორმი). ინტერესი დღევანდელი მოსმენისადმი უწინარეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ შემოქმედებითს შეჯიბრებაში ჩაებნენ საბჭოთა პიანისტური სკოლის წარმომადგენლები — ანდრიან ეგოროვი და ანატოლი გოლოლობოვი. ამავე დღეს დაუკრეს ავსტრალიელმა გუენეტ პრაიორმა და კანადელმა რეიმონდ პენელმა.

საღამოს მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში დაუკრეს მევიოლინეებმა, მესამე ტურის მონაწილეებმა — პეტრე მესიერეუერმა (ჩეხოსლოვაკია) და ალბერტ მარკოვმა (სსრ კავშირი).



ნატალია შახოვსკაია, ვიოლონჩელისტთა კონკურსის ლაურეატი, რომელსაც მიენიჭა პირველი პრემია და ოქროს მედალი.

## ლაპარაკობენ კონკურსის ლაურეატები და წევრები



**ნატალია შახოვსკაია** (სსრ კავშირი):

მე ბედნიერი ვარ, რომ ღირსი გავხდი ამ მაღალი ჯილდოსი და რომ ეს ჯილდო მომანიჭეს სახელგანთქმულმა მუსიკოსებმა. მე გამახარეს ჩემმა მეგობრებმა, რომლებმაც დიდი წარმატებანი მოიპოვეს ასეთ სერიოზულ და რთულ შეჯიბრებაში. მინდა ვუსურვო ყველა ჩემს ამხანაგს — ნუ დასჯერდებით მიღწეულს, იმუშავეთ, იმუშავეთ და იმუშავეთ!

**ლესლი პარნასი** (ამერიკის შეერთებული შტატები):

ეს კონკურსი პირდაპირ ფანტასტიკურია როგორც მონაწილეთა რაოდენობით, ისე პროგრამის სირთულით. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ჩემი კოლეგა კმაყოფილი დარჩა კონკურსში მონაწილეობის გამო. მე მიმძიმს ლაპარაკი, ბედნიერი ვარ, დღევანდელი მოვლენა ერთ-ერთ ყველაზე სასიხარულოდ მიმაჩნია ჩემს ცხოვრებაში.

**მსტისლავ როსტროპოვიჩი**, ჟიურის თავმჯდომარე (სსრ კავშირი):

საშემსრულებლო დონით ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსი ყველაზე ძლიერი იყო იმ კონკურსებზე, რომლებსაც ოდესმე დავსწრებივარ. ჩვენ გავიცანით შესანიშნავი ახალგაზრდა ტალანტების პლეადა. უდავოა, რომ უმრავლესობას ბრწყინვალე მომავალი მოელის.

**გასპარ კასადო**, ჟიურის წევრი (ესპანეთი):

ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე მოახდინეს ნატალია შახოვსკაიამ, რომელიც შეიძლება გამოჩენილ ვიოლონჩელისტად მივიჩნიოთ, ამერიკელმა ლესლი პარნასმა, რომელიც დიდი მუსიკოსია, და ვალენტინ ფეიგინმა, რომელიც განსაცვიფრებელ ტექნიკას ფლობს.

---

ვახტანგ ორბელიანის დაბადების 150 წლისთავის გამო

ვახტანგ ორბელიანი

## კაცი ის არის

კაცი ის არის,  
ვინც ოფლს მიწას ღვრის  
და დაუდგრომლით ხელით ძლიერით  
დედა-მიწასა  
და მის წიაღსა  
ღვთისა მადლობით, მხიარულებით  
აპობს და არღვევს,  
დაღალვას არ სდევს  
და მუნით ნაყოფს აღმოაცენებს;  
და იმ ტკბილს ნაყოფს  
ქვრივ-ობერთ უყოფს  
და უშრობს მშიერთ ობოლთა  
ცრემლებს.

კაცი ის არის,  
ვისაც გულს ესმის  
ციური სიტყვა: „ძმობა, ერთობა"  
და სიყვარულით  
აღვსილის გულით  
დავრდომილ ძმათა მოეხმარება;  
ვინც უდგას შორსა  
სიცრუვეს, შურსა,  
ვის არ ეხება პირმოთნეობა;  
აქვს სული წრფელი,  
სიტყვა ნათელი,  
გულს დაიმარხა ჭეშმარიტება.

1882 წ.

## იგი მომავალს უმღეროდა

**ვახტანგ ორბელიანის**' მთელი პოეზია გულნატკენი ამონაკვნესია „საქართველოს მწარე ბედზე". მან მთელი თავისი პოეტური სული მსხვერპლად შესწირა სამშობლოს, მთელი თავისი პოეტური ხმით ემსახურა მშობელ ქვეყანას. პოეტმა თავისი დახვეწილი, მგზნებარე პატრიოტული ლირიკა მტკიცედ შემოფარგლა სამშობლოს თემით. ვახტანგ ორბელიანის ლექსები პატრიოტიზმის მგზნებარე გრძნობას უნერგავდა ქართველ მკითხველს. პოეტი მედგრად ილაშქრებდა უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ.

რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელი ძლიერი სიყვარული და ინტერესი ყოველივე წარსულისადმი ვახტანგ ორბელიანმა ბოლომდე შეინარჩუნა, მაგრამ რომანტიკული პოეზიის ეს თვისებები თავისებურად შეუხამა ახალ მოთხოვნილებებს, რომლებსაც უყენებდა ქართულ პოეზიას XIX საუკუნე დემოკრატიული მისწრაფებებით და სინამდვილის ინტერესით.

ვახტანგ ორბელიანს ღრმად სწამდა, რომ ქართველ ხალხს, რომელსაც შეუქმნია დიდი სულიერი საგანძური და საუკუნეების მანძილზე გმირულად გამოუტარებია თავისი სახელოვანი ისტორია, მომავალიც დიდი ექნებოდა.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ვახტანგ ორბელიანის ლექსთა პირველი კრებული ილია ჭავჭავაძისა და პეტრე უმიკაშვილის რედაქციით გამოვიდა 1894 წელს. ილიამ საგანგებოდ ამ კრებულისათვის დაწერა პოეტის ვრცელი ბიოგრაფია, მოკლედ მიმოიხილა შემოქმედება და მაღალი შეფასება მისცა მის პოეზიას.

აქვე ვბეჭდავთ ვახტანგ ორბელიანის ერთ ლექსს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

□ □

**მართალია**, გრიგოლ ორბელიანმა ჩვენს პოეტზე უწინ მიგვახედა წარსულს და ამით ახალი საგანი გაუჩინა ჩვენს პოეზიას, მაგრამ ამ გზაზედ ისე გადაუხვევლად, ისე სისწრივ ჩვენში არც ერთს პოეტს არ უვლია, როგორც ვახტანგ ორბელიანს. მან თითქმის მთელი თავისი პოეტური ძალ-ღონე სულ ამ საგანს ამსახურა და თავისი უკეთესი ლექსები ამ საგანს უძღვნა და შესწირა. ამასთან ვახტანგ ორბელიანს, ვითარცა მამულის სიყვარულის მადლით მოსილს პოეტს, დიდი წილი უდევს, რომ ამ გრძნობამ ჩვენში ფეხი მოიკიდა და ფრთა აისხა. დედა მის წარსულის სიყვარულისა — მამულის-შვილური სიყვარულია და პირველი გაზრდილია მეორეს ძუძუთი. იგი წარსული უყვარს, როგორც ფუძე ჩვენის მომავლისათვის: „დიდს წარსულს დიდი მომავალი ექნება" — ამბობს იგი.

ვახტანგ ორბელიანი ნამდვილი ლირიკოსია რომანტიულ სკოლისა, ეგრეთწოდებულ „რომანტიზმს" იგი ჰყავს ჩვენში თითქმის ერთად-ერთი წარმომადგენელი. ერთად-ერთს ვამბობთ იმიტომ, რომ მისი პოეზია ამ მხრივ თითქმის შეურეველია და აუმღვრეველი. „რომანტიზმს" ევროპის პოეზიაში იმ ხანებში დიდი ადგილი ეჭირა და მისი უდიდესი დედა-ბოძი იყო ვიქტორ ჰიუგო, საფრანგეთის სახელოვანი პოეტი, რომლის თხზულებათა კითხვა ვახტანგ ორბელიანს, როგორც სჩანს მის ლექსებიდან, ხშირად ჰყვარებია.

**ილია ჭავჭავაძე** — მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ვახტანგის-ძის ჯამბაკურ-ორბელიანისა, 1894 წ.

---

## სიცოცხლე ქვაში

**„საოცარი** ხალხი არიან ეს მოქანდაკენი, ღვთიური ხელი აქვთ, უბრალო უტყვ ქვას სულს ჩაუდგამენ, აამეტყველებენ, აამღერებენ" — ვფიქრობ და ვუსმენ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს მოქანდაკე **შოთა მიქატაძეს**, რომელიც ძუნწად მომითხრობს თავის შემოქმედებით გეგმებზე, თავის ახალ და ძველ ნამუშევრებზე.

აი უზარმაზარი სკულპტურული ჯგუფი — ახალგაზრდა ვაჟი და ქალიშვილი. ვაჟის ფიგურა წელს ზემოთ შიშველია, კუნთმაგარი სხეული ძლიერებისა და ახალგაზრდობის შთაბეჭდილებას ქმნის, სამოსი მხარზე გადაუკიდია და ხელგაწვდილი ლაღად გასცქერის წინ; ქალიშვილს მსუბუქი სამოსი აცვია, რომელსაც ნიავი უფრიალებს, მისი სახე სისპეტაკეს, ქალურ სინაზეს და სიცოცხლის სიყვარულს გამოსახავს. სულ მოკლე ხანში სკულპტურული ჯგუფი „შრომაში გამარჯვებულნი" მზად იქნება, შემდეგ მას ბრინჯაოში ჩამოასხამენ და დაიდგმება საქართველოს სსრ მთავრობის სასახლის წინ.

მოქანდაკეს უკვე დაუმთავრებია დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის პორტრეტი, რომელიც თბილისში ორჯონიკიძის ქუჩაზე მდებარე ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის შესასვლელს დაამშვენებს.

ვის არ გაუგონია „ციმბირის პაპის" — ლეგენდარული ნესტორ კალანდარიშვილის სახელი. მისი მშობლიური კუთხეა მახარაძის რაიონის სოფელი გაკიროული ხიდი. შ. მიქატაძის სახელოსნოში თქვენს ყურადღებას იპყრობს ნესტორ კალანდარიშვილის ბრინჯაოს პორტრეტი, რომელიც მშობლიური სოფლის მშრომელთა შეკვეთით არის დამზადებული.

შ. მიქატაძე ამჟამად მუშაობს აგრეთვე სხვადასხვა პორტრეტებზე, მათ შორის აღსანიშნავია „ქალიშვილის პორტრეტი" და რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომის, დავით ცქიტიშვილის პორტრეტი.

**ლ. კიკნაძე.**

• • •

**სურათზე:** მოქანდაკე შ. მიქატაძე მუშაობს სკულპტურულ ჯგუფზე „შრომაში გამარჯვებულნი".



## ოსტატობის დემონსტრაცია

**თბილისის** ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა საქართველოს 1962 წლის პირადგუნდური პირველობის გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში.

ეს იყო ერთ-ერთი მასობრივი შეჯიბრება, რომელიც მიეძღვნა გაზეთ „პრავდის" 50 წლისთავს.

ყურადღებას იპყრობდა შეჯიბრება ოსტატთა პროგრამით მრავალჭიდში. ვაჟთა შორის სავალდებულო პროგრამით ვარჯიშის შემდეგ წინ იყო გ. გრომოვი, მომდევნო ადგილებს ინაწილებდნენ მ. ბოგუსი, ი. ბალიაური და ნ. მაკალათია. ნებისმიერი ვარჯიშების შესრულებისას პირველობისათვის ბრძოლა ძირითადად ამ სპორტსმენებს შორის მიმდინარეობდა. მრავალჭიდში გამარჯვებული გამოვიდა სპორტის ოსტატი მ. ბოგუსი, რომელმაც 110,85 ქულა შეაგროვა. სსრ კავშირის ნაკრების წევრმა, სპორტის ოსტატმა ნ. მაკალათიამ 110,8 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილზე გამოვიდა ი. ბალიაური (110,45 ქულა).

ოსტატ ქალთა შორის ძირითადი ბრძოლა ა. ჯანუყაშვილსა და მ. ნინოშვილს შორის მიმდინარეობდა. ა. ჯანუყაშვილმა, რომელიც სავალდებულო ვარჯიშის შემდეგ ლიდერი იყო, ეს უპირატესობა ნებისმიერ ვარჯიშის შესრულებაშიც შეინარჩუნა და 75,05 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მ. ნინოშვილი მეორე ადგილით დაკმაყოფილდა (74 ქულა). მესამე ადგილზე გამოვიდა ქ. ქაჯაია (72,65 ქულა).

გუშინ დაიწყო უძლიერესთა შეხვედრები ცალკეულ იარაღებზე ვარჯიშში ჩემპიონების გამოსავლენად.

ქალთა შორის ჩემპიონები გახდნენ: ნაირსიმაღლის ორძელსა და დგირზე ვარჯიშში — ნინოშვილი, თავისუფალ ვარჯიშში — ჯანუყაშვილი, ბჯენით ხტომებში — ქაჯაია; ვაჟთა შორის რგოლებზე, ორძელზე, ბჯენით ხტომებსა და თავისუფალ ვარჯიშში ჩემპიონი გახდა ბოგუსი, ძელზე და ტაიჭზე ვარჯიშში — ბალიაური.

## სამი ბურთი — სამ წუთში

**გუშინ** თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე გაიმართა სეზონის კიდევ ერთი საკონტროლო მატჩი „ა" კლასის გუნდებისათვის. ადგილობრივი დინამოვლები შეხვდნენ მოსკოვის „ლოკომოტივის" გუნდს.

პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა. მეორე ტაიმის დასაწყისი დინამოელთა წარმატებით აღინიშნა. სამ წუთში მათ სამი ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში. გოლების ავტორები იყვნენ გ. სიჭინავა, თ. მელაშვილი, ი. დათუნაშვილი. თამაშის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე ლოკომოტიველთა კარში კიდევ ერთი ბურთი აღმოჩნდა. იგი შ. იამანიძემ გაიტანა.

გაიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით 4:0.

## ახალი მსოფლიო რეკორდი

**კიევის** სასროლეთზე რამდენიმე დღეა გრძელდება რვა რესპუბლიკის უძლიერეს სპორტსმენთა საკავშირო ასპარეზობა ტყვიის სროლაში.

შეჯიბრება აღინიშნა მაღალი სპორტული შედეგებით. დიდი გამარჯვება მოიპოვა ბაქოს წარმომადგენელმა ა. უდაჩინმა, რომელმაც სასამსახურო რევოლვერით მრგვალ სამიზნესა და სილუეტებზე სროლაში 600-დან 592 ქულა შეაგროვა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. აღსანიშნავია, რომ სილუეტებზე სროლაში ა. უდაჩინმა 300-დან 300 ქულა შეაგროვა, რაც იშვიათი მოვლენაა. შეჯიბრება გრძელდება.

## საბჭოთა ფეხბურთელები საზღვარგარეთ

□ **პოლონეთის** ქალაქ ხოჟუვში გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში დონეცკის „შახტიორისა" და ბიტომის „პოლონიას" გუნდებს შორის. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა 2:1.

□ **ბულგარეთის** ქალაქ პლოვდივში სსრ კავშირის ჩემპიონი კიევის „დინამო" საერთაშორისო მატჩში შეხვდა ადგილობრივ „სპარტაკს" და წააგო შეჯიბრება 1:2.

## «ბურევესტნიკი» ფინალში გავიდა

**პარიზი**, 17 აპრილი. (საქინფორმი). ოდესის „ბურევესტნიკის" ფრენბურთელ ქალთა გუნდი ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში გავიდა. ნახევარფინალური ტურნირის უკანასკნელ მატჩში, რომელიც ქალაქ ტურკუენში გაიმართა, საბჭოთა ფრენბურთელებმა ანგარიშით 3:0 (15:10, 15:11, 15:10) დაამარცხეს ბუქარესტის „დინამო" და შეაგროვეს რა 6 ქულა ექვსი შესაძლებლიდან, პირველი ადგილი დაიკავეს.

„ბურევესტნიკის" მოწინააღმდეგე ფინალში იქნება სოფიის „სლავია".

## მეორე ნაკრების დამარცხება

**გუშინ** შვეციის ქალაქ გეტებორგში „ულევის" სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში სსრ კავშირისა და შვეციის მეორე ნაკრებ გუნდებს შორის.

საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრების შემადგენლობაში იყვნენ — მასლაჩენკო, გ. ამბარცუმიანი, შესტერნიოვი, ოსტროვსკი, საბო, მანოშინი, ჩისლენკო (გუსაროვი), სერებრიანიკოვი, კანევსკი, ვ. ამბარცუმიანი, ჰუსაინოვი (მესხი).

მატჩი საბჭოთა ფეხბურთელების იერიშებით დაიწყო, მასპინძელთა საჯარიმო მოედანზე ხშირად იქმნებოდა კრიტიკული მომენტები, მაგრამ გადარჩა კარი. ტაიმის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე მარცხენა გარემარბმა სევანმა ანგარიში გახსნა.

შეჯიბრების მეორე ნახევარში ჰუსაინოვი და ჩისლენკო მესხმა და გუსაროვმა შეცვალეს. ახალი ძალით გაჩაღდა მასპინძელთა კარის შტურმი. მე-8 წუთზე მესხი რამდენიმე მოწინააღმდეგეში გავიდა და კარგად ჩააწოდა ცენტრში. აქ შერჩეულ ადგილზე აღმოჩნდა გუსაროვი და დაახლოებით 23 მეტრიდან ძლიერი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში.

თითქმის მთელ ტაიმში საბჭოთა ფეხბურთელები ინარჩუნებდნენ უპირატესობას, მაგრამ მოხდა ისე, რომ მათ საკუთარ კარში მიიღეს ბურთი. მატჩი დამთავრდა შვეციის მეორე ნაკრების გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

დღეს სტოკჰოლმში გაიმართება შვეციისა და სსრ კავშირის პირველ ნაკრებთა მატჩი.

## ტექნიკის სიახლენი

### წიგნს ავტომატი აწყობს

**ასოთამწყობის** მარჯვე ხელი მსუბუქად ურტყამს კლავიშებს, და ლინოტიპის მონოტონურ ხმაურში მკვეთრად იჭრება ზარის წკრიალი. ეს მორიგი მატრიცა ჩამოვარდა კასეტიდან და სხვების გვერდით დაეკიდა ჩანგალს. მატრიცებისაგან შემდგარი სტრიქონი მზად არის. ასოთამწყობი სწრაფად კითხულობს მას და ხელს აჭერს სახელურს. მატრიცები მაღლა ადის და პატარა „სამსხმელო საამქროში" გადაიწევს. აქ მატრიცები მჭიდროდ ხურავს ვიწრო ოთხწახნაგოვან ნახვრეტს, საიდანაც დამდნარი ლითონი გამოიტყორცნება და ავსებს სპილენძის ფირფიტებზე ამოკვეთილ ასოების მოხაზულობას. ერთი წამი შეჩერება. ლითონი გაცივდა. მზა სტრიქონი მანქანიდან მაგიდაზე გადმოდის.

ჰის ოწინარის მსგავსი ელევატორი აილებს მატრიცებს, გაიწევს გრძელ კისერს და წაიღებს მათ ზევით ლინოტიპის თავზე დამხარისხებელ განყოფილებაში. გაისმის მატრიცების ჩხაკუნი და წკრიალი. ისინი თავის ადგილას ეცემიან კასეტში, სადაც მანამდე იქნებიან, სანამ ასოთამწყობი კლავიშებს თითს არ დააჭერს და კვლავ წრეზე არ გაუშვებს მათ.

ასე მუშაობენ ლინოტიპები — ეს საუცხოო მანქანები, რომლებიც მნიშვნელოვნად აჩქარებენ გაზეთების, ჟურნალების, წიგნების დაბადებას.

ამ დღეებში ჟდანოვის სახელობის პირველ სანიმუშო სტამბაში დაიდგა ახალი ავტომატები, რომლებიც კონსტრუირებული და დამზადებულია პოლიგრაფიული მანქანების ლენინგრადის ქარხნის მიერ. გარეგნულად ისინი წინამორბედთაგან განსხვავდებიან მხოლოდ პატარა ყუთით, რომელიც დადგმულია კლავიშებზე. ამ ყუთში ლენტი შედის, კნოპს დააჭირეს და ლინოტიპი ამუშავდა. ყოველ ხუთ წამში მაგიდაზე გადმოდიოდა ბრჭყვიალა ახალი სტრიქონი.

ათობით ადამიანი მოვიდა, რომ ენახა, თუ როგორ მუშაობს ეს შესანიშნავი ავტომატი.

— შეცდომები არ მოსდის? — დაინტერესდა ერთი მაყურებელი.

ანაწყობიდან ანაბეჭდები აიღეს, და კორექტორები ტექსტის კითხვას შეუდგნენ. მათ ერთი შეცდომაც ვერ ნახეს.

— აქ თქვენ ხედავთ ჩვენს ქარხანაში შექმნილი ავტომატის მხოლოდ ერთ ნაწილს, — განგვიმარტავს ლენინგრადელი ინჟინერი გ. კრეინიუკი, — მეორე კი განკუთვნილია სიგნალების გადასაცემად მანძილზე. ჩვენ უკვე გადავცემდით სიგნალებს მოსკოვიდან ლენინგრადში. ეს ძალიან მარტივად კეთდებოდა. დავამზადეთ ლენტი. ჩავრთეთ იგი ტელეგრაფის ხაზთან მიერთებულ აპარატში და დავიწყეთ გადაცემა. გავიდა რამდენიმე წუთი, და ლენინგრადში უკვე აწყობილი იყო ტექსტი.

ახალი მანქანები პირველ ნაბიჯებს დგამენ, მაგრამ უკვე ახლა შეიძლება ითქვას, რომ მათ დიდი მომავალი აქვთ. ისინი არა მარტო სწრაფად ჩამოასხამენ ხარისხოვან ანაწყობს, არამედ პოლიგრაფიული წარმოების ტექნოლოგიასაც ცვლიან.

### სინთეზური შპალერი

ახალი შპალერი ოთახს ძალიან ამშვენებს. მაგრამ გავა ერთი-ორი წელიწადი, და კვლავ საჭირო ხდება წებო, კიბე, ჩვრები. სადავიდარაბო საქმეა. კიდევ უფრო ძნელია კედლების დაფარვა ლინკრუსტით.

სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის ახალი სამშენებლო მასალების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა შექმნა ფირისებრი სინთეზური შპალერი. ჭუჭყი და ლაქები ამ შპალერს შეიძლება პირდაპირ ჩამოვრეცხოთ. ახალი შპალერი ადვილად და სწრაფად შეიძლება გააკრათ კედელზე. ამის გაკეთება გამოუცდელ კაცსაც კი შეუძლია. ამისათვის უნდა გაშალოთ ფირის რულონი, მოაშოროთ მას ქაღალდი, რომელიც გაშრობას არ ანებებს წებოს ხსნარს, შემდეგ კი შპალერი კედელზე გააკრათ. თუ ფირი არასწორად გაეკრა, შეგიძლიათ ჩამოხსნათ და ხელახლა დააწებოთ.

ფირისებრი შპალერით უკვე მოპირკეთებულია ზოგიერთი ბინა მოსკოვის ნოვიე ჩერიომუშკის საექსპერიმენტო უბანში. ახლა საქმე მიდგა ამ შესანიშნავი მასალის სერიულ წარმოებაზე.

სააგენტო „ახალი ამბები".



### უნივერსალური ტრაქტორი

ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის კონსტრუქტორები უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მუშაობენ უნივერსალური დანიშნულების მძლავრი თვლიანი ტრაქტორის შესაქმნელად. ეს მანქანა ჩანაფიქრის მიხედვით მთელ წელიწადს უნდა მუშაობდეს: სასოფლო-სამეურნეო სეზონში — ხვნა-თესვაზე, კულტივაციაზე, ფარცხვასა და მოსავლის აღებაზე, შემოდგომაზე და ზამთარში კი სატრანსპორტო სამუშაოებზე.

ახლა კონსტრუქტორთა კოლექტივმა ვადაზე ერთი თვით ადრე დაამთავრა თვლიან ტრაქტორ-საწევარ „ტ-125"-ის მოდელის სამუშაო ნახაზების დამზადება. ტრაქტორს 130 ცხენის ძალის ძრავი ექნება.

ტრაქტორის შემქმნელთა შორის ნახევარზე მეტი ახალგაზრდა კომკავშირელი კონსტრუქტორები არიან.

• • •

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ინჟინერ-კონსტრუქტორები კომკავშირელები პაველ ვასილიევი, ბორის ტორბაკოვი, გიორგი გოლოვაჩი და ანატოლი ჩურიკოვი.

ფოტო ე. ანდრეევისა. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

---

რედაქტორი **დ. მჭედლიშვილი.**

---

## თეატრები

**18 აპრილი**

რუსთაველის სახელობის — ღალატი, მარჯანიშვილის სახელობის — ბაბთიანი გოგონა, გრიბოედოვის სახელობის — წესგარეშე თამაში, სანკულტურის — უხეი საღამო, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ციცია (აბონ. № 52, 7 ს.), კონსერვატორიის დიდი დარბაზი — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი.

**19 აპრილი**

**პირველი პროგრამით**

07.35 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 08.30 — პოპულარული სიმფონიური მუსიკა, 09.20 — ე. აბრამიანი. სონატა ფორტეპიანოსათვის, 11.00 — გადაცემა — „ლაპარაკობს ცხინვალი", 11.10 — ტრანსლაცია მოსკოვიდან — ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკოს-შემსრულებელთა მეორე საერთაშორისო კონკურსის დღიური, 11.40 — ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ხალხთა სიმღერები, 12.15 — დუეტები ქართული ოპერებიდან, 12.45 — საბჭოთა კომპოზიტორების პიესები ალტისათვის, 13.40 — სოლოვიოვ-სედოის სიმღერები, 17.20 — რუმინეთის სამხედრო სასულე ორკესტრის კონცერტი, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის ნ. ვერეტენიკოვის მოგონება ლენინზე (გადაცემა II), 18.05 — ბ. კვერნაძე. საფორტეპიანო კონცერტი, 18.45 — სიმღერები დაძმა კირვალიძეების შესრულებით, 19.15 — ძველებური რომანსები და ვალსები, 19.40 — გადაცემა ციკლიდან — „ჩვენი დღეების გმირები", 20.20 — გადაცემა „ლენინი ცხოვრებაში", 20.40 — ვერდი, ოპერა „რიგოლეტო".

## ტელევიზია

18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „ფურცლები პიონერული მატიანედან", 18.20 — კონცერტი — „მხიარული ბავშვები", 18.50 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.55 — გადაცემა ციკლიდან — „მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ", 20.10 — კინოვიქტორინა, 20.50 — ახალი ამბები, 21.05 — მხატვრული ფილმი „შემანქანე".

## კინო

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, საქართველო (წითელი დარბაზი), კოლხიდა, სტუდქალაქის კლუბი — ლენინური კომკავშირისადმი მიძღვნილი კინოფილმების ფესტივალი — „გოგონები", ოქტომბერი, სპარტაკი, პლეხანოვის სახელობის კლუბი — ენატანიები.

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 1-68-08, 8-08-67, პასუხისმგებელი მდივნის — 1-72-80, სამდივნოსი — 8-46-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 1-57-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 8-22-89, სოფლის მეურნეობის — 8-82-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 1-78-24, უცხოეთის — 8-35-01, საილუსტრაციო — 8-20-48, განცხადებების მიღების — 1-64-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

უე 04020

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.